პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 44-ე წელი | № 40 (12856) | კვირა, 16 თებერვალი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

## საინფორმაციო ცნობა

### საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1964 წლის 15 თებერვალს კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობას განაგრძობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა დადგენილების პროექტის მომმზადებელი კომისიის მოხსენება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ერთხმად მიიღო დადგენილება „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია სასუქების ფართოდ გამოყენების, მორწყვის განვითარების, კომპლექსური მექანიზაციისა და მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის საფუძველზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების უსწრაფესად გადიდებისათვის".

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

## სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია სასუქების ფართოდ გამოყენების, მორწყვის განვითარების, კომპლექსური მექანიზაციისა და მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის საფუძველზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების უსწრაფესად გადიდებისათვის

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

### მიღებული 1964 წლის 15 თებერვალს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ახორციელებს კომუნიზმის მშენებლობის პროგრამას, რომელიც მიიღო სკკპ XXII ყრილობამ. ყრილობის შემდეგ განვლილ დროში განხორციელდა დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ტემპების დაჩქარებისათვის.

პარტია თავის საქმიანობაში ითვალისწინებდა და ითვალისწინებს იმას, რომ კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის მძლავრ თანამედროვე მრეწველობასთან ერთად საჭიროა გვქონდეს დიდად განვითარებული სასოფლო-სამეურნეო წარმოება.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში გაწეულია დიდი მუშაობა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გადიდდა მარცვლის, ბამბის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას, კარტოფილის, ბოსტნეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოება. საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების, მისი ხაქონლიანობის ამაღლების საფუძველზე ხორცის სახელმწიფო შესყიდვა ამ ხნის განმავლობაში 3,6 მილიონი ტონიდან 9,3 მილიონ ტონამდე გაიზარდა, რძისა — 10,6 მილიონი ტონიდან 28,5 მილიონ ტონამდე. ამასთან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წილმა ხორცის სახელმწიფო შესყიდვაში 1962 წელს 84 პროცენტი შეადგინა და რძისა — 95 პროცენტი, რაც ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წყობილების დიდი გამარჯვებაა. სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობაში განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ყამირი და ნასვენი მიწების უზარმაზარი მასივების ათვისებამ. ამ წლების მანძილზე ჩვენმა ქვეყანამ ყამირის ათვისების რაიონებში დამატებით მიიღო 8 მილიარდ 600 მილიონი ფუთი სასაქონლო პური. სოფლის მეურნეობის განვითარების წარმატებებმა საშუალება მოგვცა გაგვეუმჯობესებინა მოსახლეობის მომარაგება კვების პროდუქტებით, ხოლო მრეწველობისა — ნედლეულით.

გასული, 1963 წელი ძალზე არახელსაყრელი იყო სოფლის მეურნეობისათვის, მკაცრმა ყინვებმა ზამთარში და სასტიკმა გვალვამ ზაფხულში დაღუპა ნათესები და მარცვლისა და სხვა კულტურების მოსავლის დიდი დანაკლისი გამოიწვია მსხვილ სასოფლო-სამეურნეო რაიონებში. მაგრამ ამ ძნელ პირობებშიც კი მილიონობით კოლმეურნის, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების თავდადებული შრომის შედეგად 1963 წელს საბჭოთა კავშირში დამზადებულია 2.735 მილიონი ფუთი მარცვალი, 836 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე 1953 წელს, შაქრის ჭარხალი — 41,4 მილიონი ტონა, ანუ თითქმის ერთიორად მეტი 1953 წელთან შედარებით, მოკრეფილია მთელი ამ წლებისათვის ბამბის რეკორდული რაოდენობა — 5 მილიონ 205 ათასი ტონა. მხოლოდ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წყობილებას შეეძლო წინააღდგომოდა არახელსაყრელ კლიმატურ პირობებს.

საბჭოთა ეკონომიკის სწრაფი განვითარება, მოსახლეობის ზრდა, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის განუწყვეტელი გაუმჯობესება სულ უფრო დიდ მოთხოვნებს უყენებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას. **პარტია კვლავ ხაზს უსვამს, რომ სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას უპირველესი მნიშვნელობა აქვს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების განხორციელებისათვის, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის,** იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანას უხვად ჰქონდეს სურსათი, საჭიროა ახლო მომავალში გავაორკეცოთ და გავასამკეცოთ მარცვლის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოება. ჩვენს ქვეყანას, საბჭოთა ხალხს ყველაფერი აქვს იმისათვის, რომ წარმატებით გადაჭრას ეს უმნიშვნელოვანესი, გადაუდებელი და ამასთან ძნელი ამოცანა.

კომუნისტური მშენებლობის ინტერესები მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის შემდგომ დაჩქარებულ განვითარებას. ჩვენი განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა იყოს მარცვლის წარმოების გადიდება. საჭიროა მივაღწიოთ მარცვლეული კულტურების მყარ, გარანტირებულ მოსავალს და მივიღოთ იმდენი პური, რამდენიც საჭიროა სახელმწიფოს მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილებისათვის.

**პარტია გადაუდებელ ამოცანად სახავს — უახლოეს წლებში გავადიდოთ მარცვლის წარმოება ხუთი-შვიდი მილიარდი ფუთით, ესე იგი მარცვლის საერთო მოსავალი 1970 წლისათვის ავიყვანოთ 14-16 მილიარდ ფუთამდე. მარცვლის წარმოების გადიდება მთელი სოფლის მეურნეობის განვითარების საფუძველია.**

დღემდე სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების ამოცანას უმთავრესად ვწყვეტდით სათესი ფართობების გადიდების გზით. ეს სწორი ხაზი იყო, რადგან სახელმწიფოს არ ჰქონდა სხვა საშუალება მკვეთრად გაედიდებინა მარცვლის წარმოება უმოკლეს ვადაში, მაშინ საკმაო რაოდენობით არ ჰქონდა მატერიალური შესაძლებლობანი მიწათმოქმედების ფართო ქიმიზაციისა და ირიგაციის განვითარებისათვის. ახლა კი, როდესაც საბჭოთა ქვეყანას შეუძლია დიდი კაპიტალური დაბანდებანი გამოჰყოს მინერალური სასუქების წარმოებისათვის, საირიგაციო მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის სხვა საჭიროებისათვის, მარცვალსა და სხვა პროდუქტებზე ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილების უზრუნველყოფის ამოცანა უნდა გადავჭრათ მოსავლიანობის მკვეთრი გადიდების, მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის გზით.

**სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ამოცანის ფართო მასშტაბით პრაქტიკული განხორციელება შესაძლებელი ხდება იმიტომ, რომ ახლა ძირფესვიანად შეიცვალა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.**

ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ტრაქტორის პარკი 1 მილიონ 239 ათასი ცალიდან (15-ძალიანზე გადაყვანით) 1953 წელს გადიდდა 2 მილიონ 600 ათასამდე 1963 წელს, სამარცვლე კომბაინების რაოდენობა შესაბამისად გაიზარდა 318 ათასიდან 533 ათას ცალამდე, სასილოსე კომბაინებისა — 2,4 ათასიდან 198 ათასამდე, ჭარხლის ასაღები კომბაინებისა — 4 ათასიდან 52 ათას ცალამდე, სატვირთო ავტომანქანებისა — 424 ათასიდან 900 ათას ცალამდე. ელექტროენერგიის მოხმარება 2 მილიარდ 742 მილიონი კილოვატ-საათიდან გაიზარდა 17 მილიარდ კილოვატ-საათამდე.

ამ ხნის განმავლობაში მინერალური სასუქების წარმოება წელიწადში 7 მილიონიდან 20 მილიონ ტონამდე გადიდდა.

ამ წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა კაპიტალური დაბანდებანი სოფლის მეურნეობაში, უდიდესი ცვლილება მოხდა ფინანსური მეურნეობის მდგომარეობაში, გაიზარდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემოსავალი.

სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი სოფლის მეურნეობაში 1953 წლის 985 მილიონი მანეთიდან 1963 წელს გაიზარდა 5 მილიარდ 100 მილიონ მანეთამდე. კოლმეურნეობების ფულადი შემოსავალი შესაბამისად 3 მილიარდ 830 მილიონი მანეთიდან გაიზარდა 16 მილიარდ მანეთამდე, ხოლო კოლმეურნეობების განუყოფელი ფონდები 5 მილიარდ 444 მილიონი მანეთიდან გადიდდა 29 მილიარდ 900 მილიონ მანეთამდე.

ამავე ხნის მანძილზე კოლმეურნეობებში აშენებულია 5 მილიონ 800 ათასი სახლი, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში დაახლოებით 26 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

აი რა საფუძველზე აყენებს ამჟამად პარტია ამოცანას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების გაძღოლის ინტენსიურ მეთოდებზე გადასვლის შესახებ, რაც ძირეულ შემობრუნებას ნიშნავს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების აღმავლობაში.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ღონისძიებებს, რომლებსაც ამუშავებს პარტია, საფუძვლად უდევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, რომელშიც ნათქვამია:

„სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ჩვენი ქვეყნის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მთავარი გზაა ყოველმხრივი მექანიზაცია და თანმიმდევრული ინტენსიფიკაცია: მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების საფუძველზე ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მაღალი კულტურის მიღწევა, ყველა კულტურის მოსავლიანობის მკვეთრი ამაღლება და თვითეულ ჰექტარზე პროდუქციის გამოსავლიანობის გადიდება შრომისა და სახსრების უმცირესი დანახარჯების პირობებში. საჭიროა ამ საფუძველზე მივაღწიოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის განუწყვეტელ ზრდას საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა შესაბამისად. სოფლის მეურნეობა ტექნიკური აღჭურვილობისა და წარმოების ორგანიზაციის მხრივ მიუახლოვდება მრეწველობის დონეს; სასოფლო-სამეურნეო შრომა გადაიქცევა სამრეწველო შრომის ნაირსახეობად; ბუნების სტიქიაზე სოფლის მეურნეობის დამოკიდებულება მნიშვნელოვნად შემცირდება, შემდეგ კი მინიმუმამდე დავა".

**ინტენსიფიკაცია სოფლის მეურნეობის აღმავლობის გენერალური მიმართულება, მისი საწარმოო ძალების განვითარების მთავარი გზაა.**

ინტენსიურად ვაწარმოოთ მეურნეობა იმას ნიშნავს, რომ, ჯერ ერთი, მივიღოთ მეტი პროდუქცია თვითეულ ჰექტარ მიწაზე, მეორეც, მექანიზაციისა და ქიმიზაციის საფუძველზე გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება, მივიღოთ მეტი მარცვალი, ხორცი, რძე და სხვა პროდუქტები პროდუქციის ერთეულზე შრომისა და საშუალებების ნაკლები დანახარჯებით.

ინტენსიფიკაციის შემადგენელი ნაწილია სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია, რომლის მიზანია სოფლის მეურნეობის მეცნიერულად დასაბუთებული განლაგება, აგრეთვე ეკონომიკის დარგების ყველაზე მიზანშეწონილი განვითარება თვითეულ ზონაში მისი ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით, თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის დასახულ ღონისძიებათა განხორციელება უნდა წარმოებდეს სამი ძირითადი მიმართულებით:

**პირველი, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ფართო ქიმიზაციის გზით.** სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია რევოლუციაა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, მის განვითარებაში ინტენსიფიკაციის საფუძველზე. ქიმიის დანერგვა სახავს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების გზას.

**მეორე, სარწყავი მიწათმოქმედების ყოველი ღონისძიებით განვითარების გზით.** პარტიამ და ხალხმა დიდი მუშაობა გასწიეს, რათა განეხორციელებინათ ვ. ი. ლენინის მითითებანი ირიგაციის შესახებ. ახლა ჩვენ შეგვიძლია საირიგაციო მშენებლობა განვახორციელოთ ფართო მასშტაბებით, რათა სარწყავ მიწებზე ტექნიკურ კულტურებთან ერთად დიდი რაოდენობით მოვიყვანოთ მარცვალი. სარწყავ მიწებზე მარცვლეული კულტურების ეს გარანტირებული მოსავალი იქნება კარგი სადაზღვევო ფონდი. დიდი წვლილი ჩვენი ქვეყნის პურის ბალანსში.

**მესამე, კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის გზით.** ქიმიზაციასა და ირიგაციასთან ერთად ელექტროფიკაციისა და კომპლექსური მექანიზაციის განხორციელება საშუალებას მოგვცემს სწრაფი ტემპებით წავწიოთ წინ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ინტენსიფიკაცია, მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების იმ დონეს, რომელიც განსაზღვრულია პარტიის პროგრამით.

**სოფლის მეურნეობის ინტენსიურად წარმოება გულისხმობს მეცნიერების მიღწევების, მოწინავე გამოცდილების უაღრესად ფართოდ დანერგვას წარმოებაში.** მთავარი ის არის, რომ საბჭოთა და საზღვარგარეთის მეცნიერების საუკეთესო მიღწევები, შრომის მოწინავე მეთოდები სოფლის მილიონობით მშრომელთა კუთვნილება გავხადოთ.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ საწარმოო პრინციპით პარტიული ორგანოების გარდაქმნას, რაც პარტიამ განახორციელა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა შექმნას მოჰყვა ის, რომ პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა გააუმჯობესეს ხელმძღვანელობა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისადმი.

ახალი ამოცანები, რომლებსაც პარტია უსახავს სოფლის მეურნეობას, მოითხოვს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობის შემდგომ სრულყოფას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის ბრძოლა კომუნისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანესი უბანია. ამჟამად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ექმნებათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალი აღმავლობის უდიდესი შესაძლებლობანი. პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, საწარმოო სამმართველოებმა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, მუშებმა, კოლმეურნეებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, მეცნიერებმა, სოფლის ყველა მშრომელმა მთელი ენერგიითა და სიმტკიცით უნდა მოჰკიდონ ხელი ამ უმნიშვნელოვანესი საერთო-სახალხო ამოცანის განხორციელებას.

მოისმინა რა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის ამხ. ი. პ. ვოლოვჩენკოს მოხსენება „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია სასუქების ფართოდ გამოყენების, მორწყვის განვითარების, კომპლექსური მექანიზაციისა და მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის საფუძველზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების უსწრაფესად გადიდებისათვის" და ამ საკითხზე სრულიად საკავშირო გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" თავმჯდომარის ამხ. ა. ა. ეჟევსკის, სსრ კავშირის სარწყავი მიწათმოქმედებისა და წყალთა მეურნეობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ე. ე. ალექსეევსკის, მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მინისტრებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრების თანამოხსენებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი **ადგენს:**

1. კვლავაც ჩაითვალოს, რომ პარტიისა და ხალხის უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის არის, რომ კიდევ უფრო დააჩქარონ სოფლის მეურნეობის განვითარება, მნიშვნელოვნად გაზარდონ მარცვლისა და სხვა კულტურების საერთო მოსავალი, გაადიდონ ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ფართო პროგრამის განხორციელების გზით.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია უნდა განვახორციელოთ იმ საფუძველზე, რომ:

— მკვეთრად გავადიდოთ მინერალური და ორგანული სასუქების, ჰერბიციდების, შხამქიმიკატების, მეცხოველეობისათვის საჭირო ქიმიური პრეპარატების, აგრეთვე მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების წარმოება და ეფექტიანად გამოვიყენოთ ისინი;

— დავამთავროთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროცესების კომპლექსური მექანიზაცია;

— განვავითაროთ რწყვა, მელიორაცია და მჟავე ნიადაგების გაკირიანება;

— ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში დავნერგოთ მეცნიერების მიღწევები და მოწინავე გამოცდილება; მემცენარეობაში გადავიდეთ მარცვლეული და სხვა კულტურების უფრო პროდუქტიულ, უხვმოსავლიან ჯიშებზე, ხოლო მეცხოველეობაში გავაუმჯობესოთ ჯიშთსანაშენო საქმე, განვახორციელოთ ცხოველთა ჰიბრიდიზაცია, გავადიდოთ რძის ცხიმიანობა;

— თანმიმდევრულად უზრუნველვყოთ წარმოების სპეციალიზაცია როგორც ზონებში, ისე თვით მეურნეობებში, შევქმნათ მსხვილი სპეციალიზებული მეურნეობანი, რომლებიც გარკვეული სახეობის სასაქონლო პროდუქციას აწარმოებენ;

— გავადიდოთ მუშაკთა მატერიალური დაინტერესება იმით, რომ მეტი პროდუქცია აწარმოონ შრომისა და საშუალებების უმცირესი დანახარჯებით.

2. მოწონებულ იქნას ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმზე მოკავშირე რესპუბლიკების მიერ წარმოდგენილი ღონისძიებები და გეგმები, რომლებიც ითვალისწინებენ მარცვლის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებას სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფართო ინტენსიფიკაციის საფუძველზე და რომლებიც უზრუნველყოფენ იმ პირველხარისხოვანი ამოცანის გადაჭრას, რომ 1970 წელს მარცვლის საერთო მოსავალი გავადიდოთ 14-16 მილიარდ ფუთამდე, ხორცის წარმოება — 20-25 მილიონ ტონამდე, რძისა — 115-135 მილიონ ტონამდე.

დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, მინისტრთა საბჭოებს, ყველა პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოს სათავეში ჩაუდგნენ დასახული გეგმების უთუოდ შესრულებისათვის ბრძოლას.

დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განსახილველად წარმოადგინონ ღონისძიებანი და წინადადებანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის შესახებ, რომლებიც საკავშირო ორგანოებმა უნდა გადაწყვიტონ.

3. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გაითვალისწინა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ერთ-ერთი გადამწყვეტი საშუალებაა მისი ფართო ქიმიზაცია, და ავალებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და მასთან არსებულ ქიმიის კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს განახორციელონ გადაუდებელი ღონისძიებანი იმისათვის, რომ უთუოდ შესრულდეს მინერალური სასუქების, შხამქიმიკატების, ჰერბიციდების და სოფლის მეურნეობისათვის საჭირო სხვა ქიმიურ საშუალებათა წარმოების დასახული პროგრამა. უზრუნველყონ მინერალური სასუქების ქარხნების განლაგება იმის გათვალისწინებით, თუ რა ნედლეულის რესურსები მოეპოვება, აგრეთვე შესაბამისად რამდენი სასუქი ესაჭიროება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ზონას. გაითვალისწინონ სასუქების ხარისხის გაუმჯობესების, კონცენტრაციის გადიდების, სასუქების გადაზიდვისა და შენახვის სწორი ორგანიზაციის ღონისძიებანი.

მინერალური სასუქების ეფექტიანობის გადიდების დიდმნიშვნელოვანი პირობაა მათი გონივრული გამოყენება. ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს ჩვენი ქვეყნის ზონების მიხედვით გაუნაწილონ მინერალური სასუქები კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, ამასთან გაითვალისწინონ ნიადაგისა და ჰავის პირობები, ეკონომიური ეფექტიანობა, დაეყრდნონ მეცნიერების მონაცემებსა და მოწინავე მეურნეობათა გამოცდილებას, მიაღწიონ უკეთეს შედეგს ქიმიური სასუქების გამოყენების მეოხებით.

პლენუმი ითვალისწინებს, რომ რუსეთის ფედერაციის არაშავნიადაგიანი ზონის რაიონებში, ბელორუსიის სს რესპუბლიკაში, უკრაინის სსრ ჭაობიანი ტყის რაიონებში, ლიტვის სს რესპუბლიკაში, ლატვიის სს რესპუბლიკასა და ესტონეთის სს რესპუბლიკაში და მთელ რიგ სხვა ადგილებში ბევრია გადიდებული მჟავიანობის მიწები, და ავალებს აღნიშნული რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, აგრეთვე შესაბამის საწარმოო სამმართველოებს უახლოეს წლებში განახორციელონ მჟავე ნიადაგების გაკირიანების ღონისძიებანი.

იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება სწორად გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობაში მინერალური სასუქები და სხვა ქიმიური საშუალებანი, საჭიროდ ჩაითვალოს 1964-1965 წლების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში ერთიანი აგროქიმიური სამსახურის შექმნა. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ზონებში საჭირო რაოდენობით შეიქმნას თანამედროვე მოწყობილობით აღჭურვილი აგროქიმიური ლაბორატორიები. აგროქიმიური სამსახურის მთავარი ამოცანები უნდა იყოს ის, რომ შეიმუშაოს მინერალური სასუქებისა და სხვა ქიმიური საშუალებების განაწილებისა და ეფექტიანი გამოყენების მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები, მოაწყოს ნიადაგთა, სასუქთა და საკვებთა მასობრივი ანალიზები, შეადგინოს მიწების აგროქიმიური კარტოგრამები, კონკრეტული დახმარება გაუწიოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ქიმიზაციაში.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ქიმიის დანერგვისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა მოვამზადოთ კადრები, რომლებმაც კარგად იციან აგროქიმია, უნარი შესწევთ ეფექტიანად გამოიყენონ მინერალური სასუქები, ჰერბიციდები, შხამქიმიკატები და განახორციელონ მათი გამოყენების მექანიზაცია. ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის საოლქო და სამხარეო კომიტეტებს, საწარმოო სამმართველოთა პარტიულ კომიტეტებს აგროქიმიკოსთა მასობრივი კადრების ფართოდ მომზადების მიზნით შექმნან სკოლების, კურსების, სემინარების ქსელი საწარმოო სამმართველოებთან, სასწავლებლებთან, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებთან, აგრეთვე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ხელმძღვანელობს რა იმით, რომ სოფლის მეურნეობის ქიმიზაციას შეუძლია ჰექტარ სახნავზე პროდუქციის უმეტესი გამოსავლიანობა მოგვცეს მხოლოდ მიწათმოქმედების მაღალი კულტურის საფუძველზე, ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მოითხოვს, რომ ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა უნარიანად შეუხამონ ქიმიზაცია ნიადაგების სწორ და დროულ დამუშავებას, ორგანული სასუქების გამოყენებას, თესონ ჯიშიანი მაღალხარისხოვანი თესლი, საუკეთესო ვადებში შეასრულონ ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო.

4. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საჭიროა მაღალეფექტიანად გამოიყენონ მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, გადაჭრით გმობს იმ შემთხვევებს, როცა ჩამოწერენ მიწებს სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან ჯაგნარის გავრცელების, დაჭაობიანების და სხვა მიზეზების გამო.

უნდა დავგმოთ, როგორც ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკა, როცა ზოგიერთი მუშაკი ცდილობს ჩამოწეროს ჯაგნარიანი და ჭაობიანი მიწები სახელმწიფოსათვის პროდუქციის მიყიდვის გეგმების შემცირების მიზნით.

დაევალოთ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს ყველა შემთხვევაში გამოიძიონ მიზეზები, რომელთა შედეგად გაუვარგისდა სახნავი მიწები და დამნაშავენი მისცენ სასტიკ პასუხისგებაში სახელმწიფო ქონების გაფუჭებისათვის.

5. ცენტრალური კომიტეტის პლენუმი სარწყავი მიწათმოქმედების რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს უსახავს ამოცანას უზრუნველყონ, რომ ბამბისა და სხვა ტექნიკური კულტურების წარმოების გეგმების შესრულებასთან ერთად მკვეთრად გადიდდეს მარცვლეულის — ბრინჯის, ხორბლის, სიმინდის წარმოება, აგრეთვე ბოსტნეულის, სარძეო მეცხოველეობის საკვების მოყვანა საგარეუბნო ზონებში.

პლენუმი მოითხოვს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა და მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სარწყავი მიწათმოქმედებისა და წყალთა მეურნეობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტმა მიიღონ გადაუდებელი ღონისძიებანი ყველა სარწყავი მიწის ეფექტიანად გამოყენებისათვის. ბოლო უნდა მოეღოს ისეთ არანორმალურ მდგომარეობას, როცა ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას მცირე მოსავალი მოჰყავს სარწყავ მიწებზე.

დაევალოს სსრ კავშირის სარწყავი მიწათმოქმედებისა და წყალთა მეურნეობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უზრუნველყონ ახალი სარწყავი მიწების გამოყენების გეგმის შესრულება. ახალ სარწყავ სისტემათა მშენებლობის დროს ყამირ მიწებზე უნდა შევქმნათ მაღალმექანიზებული საბჭოთა მეურნეობები, რათა უფრო სწრაფად ავითვისოთ სარწყავი მიწები და მოვიყვანოთ იქ უხვი მოსავალი.

ჭარბტენიან რაიონებში, სადაც ეს ეკონომიურად ხელსაყრელია, უნდა გავშალოთ სამელიორაციო სამუშაოები და ამასთან გამოვიყენოთ დახურული დრენაჟი.

6. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ ბოსტნეულითა და კარტოფილით ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებათა სრული უზრუნველყოფის ამოცანის გადაჭრაში დიდ როლს ასრულებენ სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც დიდი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების გარშემო შეიქმნა.

დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროებს მიიღონ ღონისძიებანი, რათა გადაჭრით გაუმჯობესდეს მათი მუშაობა, თვითეული საბჭოთა მეურნეობა გადაიქცეს იაფი ბოსტნეულისა და კარტოფილის მწარმოებელ მაღალმექანიზებულ რენტაბელურ საწარმოდ.

პლენუმი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბოსტნეულის წარმოებას მასაზრდოებელ ხსნარებში უნიადაგოდ, ჰიდროპონიკის წესით, და ავალებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, წარმოებისა და დამზადების სამინისტროს მნიშვნელოვნად გააფართოონ სამეცნიერო კვლევა, აგრეთვე შეიმუშაონ და განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი, რათა ბოსტნეულის როგორც დახურულ, ისე ღია გრუნტში მოყვანის ჰიდროპონიკის წესი დანერგონ ჩვენი ქვეყნის სამხრეთ რაიონებში, სადაც განსაკუთრებით ხელშემწყობი პირობებია ბოსტნეულის მოსაყვანად ჰიდროპონიკის მეთოდით ღია გრუნტში, აგრეთვე ვიტამინიანი საკვების მოსაყვანად მეცხოველეობისათვის.

7. ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანაში დიდი მუშაობა შესრულდა სოფლის მეურნეობის აღჭურვისათვის თანამედროვე ტექნიკით. მაგრამ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთელ რიგ დარგებში ჯერ კიდევ დიდია ხელის შრომის დანახარჯები. სერიოზულად ჩამორჩება შრომის მექანიზაცია მეცხოველეობის ფერმებში. ნელა მიმდინარეობს ახალი ტექნიკის წარმოების ათვისება. დღემდე არ არის აღმოფხვრილი ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენების დიდი ნაკლოვანებანი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ პარტიის პოლიტიკა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში უნდა ითვალისწინებდეს უფრო მძლავრი ტრაქტორების, ფართოპირიანი და მრავალმწკრივიანი მანქანების დანერგვას; ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სამუშაო სიჩქარეთა გადიდებას; ისეთი უნივერსალური მანქანების შექმნას, რომლებსაც საცვლელი სამუშაო ორგანოები აქვთ, მთელი რიგი კულტურების მოვლა-მოყვანისათვის გამოსაყენებლად.

ჩვენს ქვეყანაში სავსებით მექანიზებულია მარცვლეული და ზოგიერთი სხვა კულტურების მოსავლის აღება. ახლა საჭიროა უახლოეს წლებში აგრეთვე განვახორციელოთ შაქრის ჭარხლის, ბამბის, კარტოფილისა და სხვა კულტურების მოსავლის აღების სრული მექანიზაცია. მანქანების შექმნისა და წარმოების დროს უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი ქვეყნის ამა თუ იმ ზონის კონკრეტული მოთხოვნილებანი. გიგანტური მუშაობა ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის განსახორციელებლად ხელსაყრელ შესაძლებლობებს ქმნის სოფლის მეურნეობის უფრო სრული ელექტროფიკაციისა და მექანიზაციისათვის.

დაევალოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, ავტოსატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტს, სრულიად საკავშირო გაერთიანება „საქსოფლტექნიკას", ეკონომიური რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნებსა და საკონსტრუქტორო ბიუროებს გააძლიერონ მუშაობა, რათა ახალი ტექნიკა შექმნან სოფლის მეურნეობისათვის, სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის, ირიგაციის და მელიორაციის განვითარების გათვალისწინებით. დაევალოს აღნიშნულ ორგანიზაციებს სამი თვის ვადაში წარუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი სატრაქტორო, საავტომობილო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სიმძლავრეთა გადიდების შესახებ ისეთი ოდენობით, რაც საჭიროა იმისათვის, რომ დამთავრდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი დარგების კომპლექსური მექანიზაცია.

სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების კოლექტივებს, ეკონომიური რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოებს, ავტოსატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტს პლენუმი უსახავს გადაუდებელ ამოცანას — უზრუნველყონ ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება; გაადიდონ ძრავების მუშაობის ხანგამძლეობა; განუხრელად ზარდონ ტრაქტორების, ძრავებისა და სხვა მანქანების მუშაობის გარანტირებული ვადები, მიაღწიონ იმას, რომ მათი დონე არ იყოს თანამედროვე ტექნიკის მიღწევათა დონეზე დაბალი; კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში გაუშვან მხოლოდ გაუმჯობესებული ტექნიკა, დეტალებისა და კვანძების მაქსიმალური უნიფიკაციით, რომელიც მოსახერხებელია რემონტისა და ექსპლოატაციისათვის.

მინერალური სასუქების, შხამქიმიკატებისა და ჰერბიციდების წარმოების გადიდებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად იზრდება სამოქალაქო საჰაერო ფლოტის როლი სოფლის მეურნეობისათვის ავიაქიმიურ სამუშაოთა საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარ სამმართველოს განახორციელოს ღონისძიებანი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისათვის, სასოფლო-სამეურნეო ავიაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, სასუქების დატვირთვის სამუშაოთა მექანიზაციის გაძლიერებისათვის, ავიაქიმიურ სამუშაოთა ხარისხის ამაღლებისათვის.

სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარმა სამმართველომ სამი თვის ვადაში შეიტანოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წინადადებანი სოფლის მეურნეობაში ავიაციის უფრო ფართოდ გამოყენების შესახებ.

8. პლენუმი ავალებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმშენს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს განახორციელონ გადაუდებელი ღონისძიებანი სოფლად მშენებლობის ძირეული გაუმჯობესებისათვის. განამტკიცონ სამშენებლო ბაზა; დანერგონ ინდუსტრიული მეთოდები; უახლოეს სამ-ოთხ წელიწადში განახორციელონ ძირითადად სამუშაოთა წარმოების საიჯარო წესზე გადასვლა; გააფართოონ და განამტკიცონ სახელმწიფო სამშენებლო ტრესტებისა და საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების ქსელი; უზრუნველყონ საწარმოო შენობათა პროექტებისა და კონსტრუქციების ყოველმხრივი ტიპიზაცია და უნიფიკაცია სამეცნიერო-ტექნოლოგიური ნორმებისა და მოწინავე გამოცდილების საფუძველზე; მოაწესრიგონ სოფლების დაგეგმვა და განაშენიანება.

9. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ **სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის კურსმა, რომელიც პარტიამ დასახა, უნდა უზრუნველყოს მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობა.**

მეცხოველეობის ინტენსიური წარმოების, ას ჰექტარ მიწაზე ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების გამოსავლიანობის გადიდების გადამწყვეტი პირობაა პირუტყვის უზრუნველყოფა მრავალფეროვანი და სრულფასოვანი საკვებით. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ შეიქმნას საფურაჟე მარცვლის, სილოსისა და სხვა საკვების სიუხვე. საკვებ ბალანსში საჭიროა გავითვალისწინოთ მეცხოველეობის სრული უზრუნველყოფა კონცენტრირებული საკვებით, ურომლისოდაც შეუძლებელია ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლისა და სხვა პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდება.

საკვები ბაზის განმტკიცებაში უნდა ვიაროთ იმ გზით, რომ მკვეთრად გავადიდოთ სიმინდის, ბარდის, შაქრის ჭარხლის, სტაფილოს, იონჯის, სამყურის, ხანჭკოლისა და სხვა ძვირფასი კულტურების მოსავლიანობა, შედარებით ჩრდილოეთ რაიონებში — ჰიბრიდული თალგამურისა და საკვები კომბოსტოს მოსავლიანობა, აგრეთვე უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ მდელოები და საძოვრები. მნიშვნელოვნად უნდა გაფართოვდეს უხვცილოვანი დანამატებით, ვიტამინებით, მიკროელემენტებით, ანტიბიოტიკებითა და სხვა საშუალებებით გამდიდრებული კომბინირებული საკვების სამრეწველო დამზადება, რომლებშიც ზრდიან საკვების მასაზრდოებელ ღირებულებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ თანამედროვე ქიმია დიდ შესაძლებლობებს სახავს საკვების ხარისხიანი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის კარბამიდის, სინთეზური ცილების, ამინომჟავებისა და სხვა ქიმიური დანამატების გამოყენების გზით. ვითვალისწინებთ რა, რომ ამ ქიმიურ საშუალებათა წარმოება სწრაფად გადიდდება, საჭიროა სოფლის მეურნეობის მუშაკებს შევასწავლოთ მათი სწორად გამოყენება, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდა.

ამასთან საჭიროა გაფართოვდეს მეცნიერული კვლევა ყველა პირუტყვისა და ფრინველისათვის ცილის შემცვლელთა შექმნის მეთოდების შემდგომი შემუშავების დარგში.

10. ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ მეცხოველეობის ინტენსიფიკაციის დარგში უმნიშვნელოვანესი ამოცანა უნდა იყოს ის, რომ ყოველმხრივ გავადიდოთ პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობა, დახარჯული საკვებითა და შრომით მივიღოთ რაც შეიძლება მეტი პროდუქცია. ამისათვის საჭიროა მოვაწყოთ პირუტყვის რაციონალური კვება და შენახვა, გამოვიყენოთ პირუტყვის ბაგაზე და საძოვარზე სუქების ყველაზე პროგრესული მეთოდები; გავაუმჯობესოთ ჯოგის ჯიშიანობა.

საჭიროა უახლოეს წლებში განვახორციელოთ მეცხოველეობის ფერმების სპეციალიზაცია და გამსხვილება, რაც საშუალებას მოგვცემს ფართოდ გამოვიყენოთ მექანიზაცია, ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება და შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება. პირველ რიგში ეს სამუშაო უნდა დავამთავროთ მეფრინველეობაში. მეფრინველეობა უნდა განვითარდეს კვერცხისა და ფრინველის ხორცის მწარმოებელი მეფრინველეობის მსხვილი ფაბრიკების, მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობებისა და საკოლმეურნეო ფერმების ქსელის გადიდების გზით.

11. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობის მეცნიერებამ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია მთელი რიგი თეორიული დებულებების შემუშავებაში, რომლებსაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ, განსაკუთ-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

(დასასრული)

[illegible]

მეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შესაძლებლობათა უკეთ გამოყენების მაგალითს, უზრუნველყოფენ პროდუქციის წარმოების მაღალ დონეს შრომის მინიმალური დანახარჯებით. მაგალითად, შაქრის ჭარხლის წარმოებაში შრომის განსაკუთრებით მაღალ ნაყოფიერებას მიაღწია ამხ. ვ. ა. სვეტლიჩნიმ — ყუბანის ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოსაცდელი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მერგოლურმა; სიმინდის მექანიზებულ მოვლა-მოყვანაში — ამავე ინსტიტუტის მერგოლურმა ამხ. ვ. ი. პერვიცკიმ; კიროვოგრადის ოლქის სკკპ XX ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირმა ამხ. ა. ვ. გიტალოვმა; ვორონეჟის ოლქის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ამხ. ნ. ფ. მანუკოვსკიმ; მარცვლის წარმოებაში—ვინიცის ოლქის სკკპ XXII ყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ, სადაც თავმჯდომარეა ამხ. ვ. მ. კავუნი; ბამბის წარმოებაში — ანდიჟანის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „სავაიმ", სადაც დირექტორია ამხ. უ. სარიმსაკოვი; ხორცისა და რძის წარმოებაში — ესტონეთის სსრ ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობამ, სადაც დირექტორია ამხ. ა. ა. კონიაროვი; კარტოფილის წარმოებაში — ამხ. ვ. ი. კუზნეცოვმა — ცენტრალური მანქანათგამოსაცდელი სადგურის მექანიზატორმა (მოსკოვის ოლქი).

მარცვლის, შაქრის ჭარხლის, სასილოსე სიმინდის, ბამბის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოებაში მოწინავე მეურნეობათა და ნოვატორთა მაგალითები ეტალონი უნდა გახდეს შესაბამის დარგებში წარმოების მოსაწყობად. ამოცანა ის არის, რომ დავეყრდნოთ ამ გამოცდილებას და შესაბამისი პროდუქციის წარმოების მოწინავე ტექნოლოგია დავნერგოთ თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის მდგომარეობა არ შეესაბამება მომწიფებულ ამოცანებს.

ჩვენში პროპაგანდის პასიური ფორმა სჭარბობს. მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის ამ ფორმას ის ნაკლი აქვს, რომ იგი განმანათლებლური ხასიათისაა, არა აქვს შეტევითი ხასიათი, რომ საქმე არ მიჰყავს ბოლომდე — წარმოებაში ახლის დანერგვამდე.

წარმოებს ამა თუ იმ მეურნეობის გამოცდილების პოპულარიზაცია — გაზეთებსა და ჟურნალებში იბეჭდება სტატიები, მეცნიერები და სპეციალისტები კითხულობენ ლექციებსა და მოხსენებებს, პარტიული ორგანიზაციები იწვევენ თათბირებს, ლაპარაკობენ ამ გამოცდილებაზე, გამოდიან თვითონ ნოვატორები. ეს, რა თქმა უნდა, საჭირო და დიდმნიშვნელოვანი საქმეა. მაგრამ ასეთ პროპაგანდას არ მოჰყვება ხოლმე საჭირო ორგანიზატორული მუშაობა.

საჭიროა მივმართოთ პროპაგანდის უფრო ქმედითს, აქტიურ, შეტევითს ფორმას და დავნერგოთ ახალი, მოწინავე, ის, რაც მეცნიერებამ მოგვცა, რაც პრაქტიკამ დაადასტურა, რათა ყოველივე მოწინავე ნამდვილად ინერგებოდეს წარმოებაში. მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავეთა გამოცდილებას მარტო პრესაში, კინოში კი არ უნდა ვუჩვენებდეთ. საჭიროა თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, თვითეულ ბრიგადაში, თვითეულ განყოფილებაში სწორად გავანაწილოთ ადამიანები, ვასწავლოთ მათ, ვინც წარმოებაში ახალი უნდა დანერგოს, დავეხმაროთ აითვისონ ესა თუ ის მოწინავე საწარმოო პროცესი. კადრების შერჩევა, მათი მუშაობის შემოწმება შრომის ფაქტიური შედეგების მიხედვით, მათი ინიციატივისათვის მხარდაჭერა, კადრების რეზერვების შექმნა ჩამორჩენილი და უუნარო მუშაკების დროულად შეცვლისათვის ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

წარმოებაში ახლის, მოწინავის აქტიურად დანერგვის ფუნქციის შესასრულებლად პარტიამ შექმნა საწარმოო სამმართველოები, განახორციელა პარტიული ორგანიზაციების გარდაქმნა საწარმოო პრინციპის მიხედვით. ამით შექმნილია პირობები იმისათვის, რომ პარტიული ორგანიზაციები, პარტიული მუშაკები უფრო ღრმად სწვდებოდნენ საქმეს და არა მარტო კეთილი სიტყვით უჭერდნენ მხარს მოწინავეს სოფლის მეურნეობაში. ახლა ეს საკმარისი არ არის.

პარტიულმა მუშაკებმა ახლანდელ პირობებში უნდა იცოდნენ არა მარტო პარტიის იდეები და პროგრამა, არამედ კონკრეტულად, სრულყოფილად ერკვეოდნენ თავიანთ საქმეში, წარმოების დარგში, კვალიფიციურად ხელმძღვანელობდნენ მეურნეობას, მათ არა მარტო უნდა ილაპარაკონ ახალზე, არამედ უნდა შეეძლოთ პრაქტიკულად უჩვენონ თუ როგორ უნდა მოეწყოს ახლის, მოწინავის დანერგვა წარმოებაში. მუშათა კლასმა პარტია იმისათვის შექმნა, რომ მშრომელი ხალხის ინტერესებს ემსახურებოდეს. ძალაუფლების მოპოვების შემდეგ, როგორც არაერთხელ აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, საჭიროა უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განუხრელი აღმავლობა, მშრომელთა ცხოვრების დონის განუხრელი ზრდა. ლენინური პარტიის ძალა ის არის, რომ მისი სიტყვა და საქმე ერთია, თავის იდეებს იგი მტკიცედ ახორციელებს.

15. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ერთ-ერთი ყველაზე გადაუდებელი ამოცანაა ჩამორჩენილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის ამაღლება. ჩვენ არა გვაქვს იმის ობიექტური მიზეზები, რომ ეკონომიურად ძლიერი მეურნეობების გვერდით გვყავდეს ჩამორჩენილი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. მთელი საქმე ის არის, თუ როგორია ხელმძღვანელობის დონე, როგორ დგას კადრების, უწინარეს ყოვლისა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, საბჭოთა მეურნეობების დირექტორების, აგრონომების, ზოოტექნიკოსების, განყოფილებათა მმართველების, ბრიგადირების, ფერმების გამგეების, მექანიზატორების შერჩევის, სწავლებისა და აღზრდის საკითხები.

ამ ბოლო დროს ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს ჩამორჩენილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განსამტკიცებლად ხელმძღვანელი კადრებით, სპეციალისტებით, აგრეთვე ამ მეურნეობებისათვის მატერიალურ-ტექნიკური დახმარების გასაძლიერებლად. მაგრამ განხორციელებული ღონისძიებანი საკმარისი არ არის იმისათვის, რომ მოკლე ვადაში იქნას დაძლეული ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობების ჩამორჩენა. ჩამორჩენილი მეურნეობების გაძლიერება დიდი საერთო-პარტიული, საერთო-სახელმწიფოებრივი საქმეა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მთლიანად და სავსებით იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ დასახულ და ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლაში მოცემულ ღონისძიებებს, რომ დავეხმაროთ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს მათი ეკონომიკის აღმავლობაში, აგრეთვე შემოვიღოთ კოლმეურნეთა პენსიებით უზრუნველყოფის სისტემა.

პლენუმი გამოთქვამს რწმენას, რომ საზოგადოებრივ წარმოებაში შრომის შედეგებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გაზრდის ღონისძიებანი უზრუნველყოფენ ჩამორჩენილი კოლმეურნეობების ეკონომიკის სწრაფ აღმავლობას, გაადიდებენ მათს წვლილს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საერთო-სახალხო საქმეში.

კოლმეურნეთა პენსიით უზრუნველყოფა ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების დიდი მონაპოვარია. ეჭვი არ არის, რომ სოფლის მშრომელები მათი კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ამ ზრუნვას უპასუხებენ ახალი სასახელო საქმეებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის ბრძოლაში, ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის მშენებლობაში.

16. მატერიალური დაინტერესება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების უმნიშვნელოვანესი პირობაა. უკეთესი, უფრო ნაყოფიერი შრომისათვის უნდა იყოს უფრო დიდი ანაზღაურებაც. იმ მეურნეობებში, სადაც თანმიმდევრულად ხორციელდება მატერიალური დაინტერესების პრინციპი, როგორც წესი, მტკიცეა შრომის დისციპლინა, მაღალნაყოფიერად იყენებენ მიწას, ტექნიკას, აწარმოებენ მეტ პროდუქციას.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ვალდებული არიან ფართოდ გაავრცელონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავე გამოცდილება შრომის ანაზღაურების პროგრესული ფორმების გამოყენების საქმეში, ფართოდ დანერგონ კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურება.

17. ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვისა და სპეციალიზაციის დარგში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად შეიმუშაონ წინადადებანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგების განლაგების გაუმჯობესებისათვის, სპეციალიზაციისა და უფრო რაციონალურად შეხამებისათვის ჩვენი ქვეყნის ზონებისა და რაიონების მიხედვით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს განყოფილებების, ფერმებისა და ბრიგადების შიდასამეურნეო სპეციალიზაციისა და წარმოების კონცენტრაციის დანერგვას. საჭიროა სპეციალიზებულ მეურნეობებში თავი მოვუყაროთ ბოსტნეულის, სასაქონლო კარტოფილის, ჯიშიანი თესლის, კვერცხის წარმოებას, სახორცე წიწილების (ბროილერების) გაზრდას და სხვა სახეობათა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უნდა უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესასყიდი გეგმიანი დავალების ეკონომიურად დასაბუთებული განაწილება 1966-1970 წლებში ჩვენი ქვეყნის ზონების, ოლქების, საწარმოო სამმართველოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიხედვით წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გათვალისწინებით, რაც თვითეულ მეურნეობას საშუალებას მისცემს გეგმაზომიერად მართოს თავისი წარმოება.

18. ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გაითვალისწინა, რომ პირუტყვის, ფრინველის, რძის, ბოსტნეულის, ყურძნისა და სხვა სახეობათა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავების არსებული სიმძლავრენი ვერ უზრუნველყოფენ პროდუქტების დროულ მიღებას, გადამუშავებასა და შენახვას, და ავალებს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სახმშენს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, პარტიის სამრეწველო სამხარეო და საოლქო კომიტეტებს განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამმუშავებელ საწარმოთა მშენებლობის ტემპების დასაჩქარებლად; უზრუნველყონ მშენებლობაში მყოფი ხორცკომბინატები, რძის, საკონსერვო და ღვინის ქარხნები მასალებით, მექანიზმებით, რათა ამ საწარმოთა მშენებლობა განხორციელდეს რაც შეიძლება მოკლე ვადებში.

19. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის დასახული პროგრამის განხორციელება მოითხოვს პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის მნიშვნელოვან გაძლიერებას სოფლად. პარტიული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა კარგად განუმარტონ სოფლის ყველა მშრომელს, რომ მხოლოდ წარმოების ინტენსიფიკაციის გზით შეიძლება მინდვრების მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრად გადიდება, ჩვენს ქვეყანაში სურსათის სიუხვის შექმნა. ამას უნდა დავუქვემდებაროთ იდეოლოგიური მუშაობის ყველა საშუალება. სოფლის მშრომელებს მკაფიო და მისაწვდომი ფორმით კარგად უნდა ავუხსნათ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის უდავო უპირატესობანი, უდიდესი სარგებლობა, რომელიც მას მოაქვს კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისათვის, მთელი ხალხისათვის.

პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ფართოდ უნდა გაშალონ კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა, სპეციალისტთა, სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

* * *

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ინტენსიფიკაციის დასახულ ღონისძიებებს პარტია და ხალხი აღიქვამენ როგორც საბრძოლო პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის შემდგომ მძლავრ აღმავლობას, ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სიუხვის შექმნას.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმი კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სპეციალისტებს, მეცნიერებს, სოფლის ყველა მშრომელს მოუწოდებს მთელი ძალები და შემოქმედებითი ენერგია მოახმარონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ამოცანების პრაქტიკულად შესრულებას.

ინტენსიფიკაციისათვის ბრძოლა — ეს არა შორეული მომავლის, არამედ დღევანდელი ამოცანაა. ჩვენ წელსვე ბევრად უნდა გავადიდოთ მარცვლის, ტექნიკური და სხვა კულტურების საერთო მოსავალი, მივიღოთ მეტი ხორცი, რძე და სხვა პროდუქტები. ახლა, როცა საგაზაფხულო თესვის დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა, თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ყველა ღონისძიება უნდა განვახორციელოთ, რათა უსწრაფესად დავამთავროთ მომზადება მინდვრის სამუშაოებისათვის. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ სანიმუშოდ დავამთავროთ თესვა, მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ უხვ მოსავალს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული აღმავლობა კომუნისტური მშენებლობის დამკვრელური ფრონტია, მთელი პარტიის, მთელი ხალხის საქმეა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია დიდი ნაბიჯი იქნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გზაზე, იგი დიდ წვლილს შეიტანს სკკპ XXII ყრილობის მიერ მიღებული პარტიის პროგრამის განხორციელებაში.

# წარმოების ინტენსიფიკაცია სოფლის მეურნეობის განვითარების მთავარი მიმართულება

## ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

### სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1964 წლის 14 თებერვალს

## კოლმეურნეთა პენსიით უზრუნველყოფა

ამხანაგებო! ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმზე მინდა დავაყენო ზოგიერთი საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია კოლმეურნეთა პენსიით უზრუნველყოფასთან. როგორც ჩანს, ჩვენში მომწიფდა იმის პირობები, რომ შემოვიღოთ კოლმეურნეობათა მშრომელების სოციალური უზრუნველყოფის სისტემა. ეს პირობები მომზადდა ჩვენი ქვეყნის განვითარების მთელი მსვლელობით.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ ჩვენი ხალხი უზრუნველყო უდიდესი პოლიტიკური და სოციალური მონაპოვრებით. მშრომელი ადამიანი ისტორიაში პირველად გახდა თავისი ბედის ბატონ-პატრონი. მას აღარ ემუქრება ისეთი საშინელებანი, როგორიც არის უმუშევრობა, უსახსრო სიბერე, იგი გულდაჯერებით შეჰყურებს ხვალინდელ დღეს. საბჭოთა ადამიანებმა იციან, რომ თვითონვე არიან თავიანთი ბედნიერების მჭედლები, რომ საზოგადოებაში შრომას მათთვის მატერიალური დოვლათი მოაქვს. ამ დოვლათის გადიდების დონე კი დამოკიდებულია თვით ქალაქისა და სოფლის მშრომელთა გარჯაზე.

სოციალისტური რევოლუციის მტრებმა, მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის მტრებმა ცოტა მელანი როდი დახარჯეს და იმახეს, რომ მუშები და გლეხები, რომლებიც რევოლუციის გზას დაადგნენ, ხელმძღვანელობენ მხოლოდ ძველი სამყაროს დანგრევის ლოზუნგებით, რომ თითქოს თვით მუშათა კლასისა და გლეხობის მდგომარეობის გამო ისინი ვერასოდეს ვერ შეასრულებენ გადამწყვეტ როლს საზოგადოების საქმეთა მართვაში, რომ ცოდნის ნაკლებობის, კულტურის უქონლობის გამო მშრომელთა კლასი ვერ უხელმძღვანელებს საზოგადოებას და ვერ გაამდიდრებს საზოგადოებას ვერც მატერიალური წარმოების სფეროში, ვერც კულტურის, პოლიტიკის, ფილოსოფიისა და სხვა დარგებში.

ჩვენი სახელმწიფოს ისტორიამ დაამსხვრია ამგვარი თეორიები, და ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ უკვე 46 წელზე მეტია სწორედ უბრალო კაცის შრომა ახდენს სასწაულებს ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენს ქვეყანაში შრომას დიდად აფასებენ ხალხი, პარტია და მთავრობა. მრავალსაუკუნოვან ისტორიას დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე არ ახსოვს ისეთი დიდი პატივი, ჯილდოები, დიდება, რომლითაც მშრომელ ადამიანს მოსავენ სოციალისტურ საზოგადოებაში. საბჭოთა ადამიანი ახალი ცხოვრების შთაგონებული მშენებელი და შემოქმედი გახდა.

ასეულ ათასობით მუშა და კოლმეურნე შრომითი მამაცობისათვის დაჯილდოებულია მთავრობის ჯილდოებით და მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება. ეს ადამიანები ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის სიამაყეა. თავიანთი მაგალითით ისინი მილიონობით ადამიანს აღაფრთოვანებენ მამაცური შრომისათვის კომუნიზმის გასამარჯვებლად.

მაგრამ ჩვენში შრომას მარტო ქება-დიდებითა და ჯილდოებით როდი აფასებენ. სოციალისტური პრინციპი — თვითეულისაგან უნარის მიხედვით, თვითეულს — შრომის მიხედვით—მძლავრი სტიმულია საზოგადოებაში მატერიალური დოვლათის სიუხვის შექმნის გზაზე. უდიდესი მონაპოვარია აგრეთვე მშრომელთა სოციალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების სამართლიანად გადაჭრა. ჩვენში მოხუცებულებსა და ავადმყოფებს ეძლევათ მოხუცებულობისა და ავადმყოფობის პენსიები, რათა დავაკმაყოფილოთ ადამიანის მოთხოვნილებანი.

ჩვენს ქვეყანაში სოციალური უზრუნველყოფის სისტემა შეიქმნა საზოგადოების განვითარების, ეკონომიკის განვითარების პირობების შესაბამისად. სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთა, მშენებლობათა, საბჭოთა მეურნეობებისა და დაწესებულებების მუშები და მოსამსახურეები უზრუნველყოფილი არიან პენსიებითა და დახმარებით ავადმყოფობის დროს საწარმოთა შემოსავლიდან გადარიცხული თანხებით.

კოლმეურნეები, რომლებიც კოოპერაციული მეურნეობის წევრები არიან, საპენსიო ფონდს ქმნიან იმ შემოსავლიდან, რომელსაც კოლმეურნეობა იღებს. ასეთი სისტემა შეესაბამება ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარების თავისებურებებს, სადაც საზოგადოებრივი საკუთრების ორი ფორმაა — სახელმწიფო და კოოპერაციულ-საკოლმეურნეო, ამასთან ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელი სარგებლობს უფასო სწავლისა და სამედიცინო მომსახურების თანაბარი უფლებებით.

ამასთანავე პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კოლმეურნეთა პენსიით უზრუნველყოფის საქმეში ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს მტკიცედ დადგენილი წესი. მოწინავე კოლმეურნეობები, სადაც წარმატებით ვითარდება წარმოება და იზრდება საზოგადოებრივი მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი, აწარმოებენ მნიშვნელოვანი სახსრების გადარიცხვას კოლმეურნეობის წევრთა სოციალური უზრუნველყოფისათვის.

საჭიროა კოლმეურნეობებში შემოვიღოთ სოციალური უზრუნველყოფის უფრო მყარი სისტემა. მინდა ზოგიერთი მოსაზრება გამოვთქვა ამ საკითხზე. ვფიქრობ, რომ საჭიროა შეიქმნას სოციალური უზრუნველყოფის საკავშირო ცენტრალიზებული ფონდი და ამ ფონდის ხარჯზე დაენიშნოთ პენსიები კოლმეურნეებს. ასეთი ფონდის შექმნაში უწინარეს ყოვლისა თვითონ კოლმეურნეობებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა. ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემოვიღოთ ისეთი წესი, რომ ყველა კოლმეურნეობამ თავისი შემოსავლის გარკვეული პროცენტი გადარიცხოს კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ფონდში. 1964 წელს ნავარაუდევია თანხების საჭირო რეზერვის შესაქმნელად გადარიცხონ შემოსავლის 2 პროცენტი, ხოლო 1965 წლიდან საპენსიო ფონდში გადაირიცხოს კოლმეურნეობათა შემოსავლის 4 პროცენტი.

შესაძლებელია, რომ შემდგომში კოლმეურნეობებს დასჭირდეთ საპენსიო უზრუნველყოფის ფონდში გადარიცხონ შემოსავლის არა ოთხი პროცენტი, არამედ რამდენადმე ნაკლები.

სოფლის მეურნეობის განვითარება ინტენსიურ საფუძველზე მინერალური სასუქების გამოყენებით შესაძლებლობას შექმნის გავზარდოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და პირუტყვის პროდუქტიულობა. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ჩვენს ქვეყანაში ბევრად გაიზრდება, გაიზრდება შემოსავალიც, გადიდდება საპენსიო ფონდებში ანარიცხების თანხა, თუმცა ამ ანარიცხთა პროცენტი, შესაძლოა, შემცირდეს. თუ ახლა შემოსავლის 4 პროცენტი 640 მილიონი მანეთია, ორი-სამი წლის შემდეგ იგივე ოთხი პროცენტი გაცილებით მეტ თანხას შეადგენს.

საპენსიო უზრუნველყოფის საკითხების გადაჭრას არ შეიძლება მივუდგეთ შაბლონურად, მეურნეობის გაძლიერების დონისა და საპენსიო ფონდში ამა თუ იმ კოლმეურნეობის წვლილის გაუთვალისწინებლად. მოწინავე მეურნეობების ხელმძღვანელებს შემოაქვთ წინადადებები შემოვიღოთ ისეთი წესი, რომ იმ კოლმეურნეობათა კოლმეურნეებმა, სადაც მეურნეობა დაბალ დონეზეა, არ მიიღონ იმის თანასწორი პენსია, რასაც მიიღებენ ის კოლმეურნეები, რომლებიც უფრო ინტენსიურად უძღვებიან თავიანთ მეურნეობას, მეტ სიმდიდრეს ქმნიან ჩვენი ქვეყნისათვის.

ვფიქრობ, რომ ეს სამართლიანი წინადადებაა. ის, ვინც უფრო ნაყოფიერად შრომობს, მეტ პროდუქციას აწარმოებს, მეტსაც უნდა იღებდეს თავისი შრომისათვის, აგრეთვე უკეთ უნდა იყოს უზრუნველყოფილი მოხუცებულობაში. ეს სტიმული იქნება როგორც მოწინავე კოლმეურნეობებისათვის, ისე იმ კოლმეურნეებისათვის, ვინც დღეს ეკონომიურად სუსტ კოლმეურნეობებში მუშაობს.

ამა თუ იმ კოლმეურნეობის ჩამორჩენა რაღაც განსაკუთრებული პირობების შედეგი როდია, უფრო ხშირად ეს არის ცუდი ხელმძღვანელობის, შრომის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაციის, სუსტი შრომითი დისციპლინის შედეგი. ჩამორჩენილი კოლმეურნეობები მოწინავეთა მეზობლად არიან. მათ აქვთ ერთნაირი ხარისხის მიწა, საჭირო ტექნიკა, მაგრამ მუშაობის შედეგები სხვადასხვაა, ერთი მეურნეობა წარმატებით ვითარდება, მეორე კი ჩამორჩება. ამ ჩამორჩენისათვის პასუხისმგებლობის წილი ყველა კოლმეურნემ უნდა იკისროს. დაე ახსოვდეს ადამიანს, რომ თუ იგი დღეს ცუდად მუშაობს კოლმეურნეობაში, ეს გავლენას მოახდენს ხვალ მის უზრუნველყოფაზე მოხუცებულობის დროს.

პენსიით უზრუნველყოფა იმას უნდა ემსახურებოდეს, რომ კოლმეურნეებს აღუძრას მისწრაფება უფრო ნაყოფიერი შრომისადმი, წარმოების დონის ამაღლებისადმი, შემოსავლის გადიდებისა და მოხუცებულობაში უკეთესი უზრუნველყოფის შესაძლებლობათა შექმნისადმი.

აქვე უნდა ითქვას, მრეწველობის მუშებიც ჩვენში ერთნაირ პენსიებს როდი იღებენ. პენსიების სიდიდე დამოკიდებულია მათს შრომითს წვლილზე, შრომის ხასიათსა და პირობებზე.

ამიტომ კოლმეურნეთა პენსიით უზრუნველყოფაში არ უნდა იყოს გათანაბრებითი მიდგომა. უნდა შევიმუშაოთ ისეთი სისტემა, რომ მან წაახალისოს და უკეთ უზრუნველყოს ისინი, ვინც კარგად მუშაობს, მეტი წვლილი შეაქვს წარმოებაში.

ვფიქრობ, რომ კოლმეურნეობებში პენსიით უზრუნველყოფის საკითხებისადმი ასეთი მიდგომა სწორი იქნება და კოლმეურნეები მხარს დაუჭერენ ამ წინადადებებს. აი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, რომლებსაც მინდოდა შევხებოდი ჩემს გამოსვლაში.

## მრეწველობის მუშაობის ზოგიერთი საკითხი

ამხანაგებო! ახლა მინდა შევჩერდე მრეწველობის მუშაობის, სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ზოგიერთ საკითხზე.

შვიდწლედის გეგმის დავალებანი მრეწველობაში, კაპიტალურ მშენებლობაში, ტრანსპორტში და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში წარმატებით სრულდება. ამაზე მეტყველებს შემდეგი მონაცემები, რომლებიც ახასიათებს წარმოების ზრდას შვიდწლედის წლებში:

| | 1958 წ. | 1963 წ. | ზრდა პროცენტობით |
|---|---|---|---|
| თუჯი (მილიონი ტონა) | 39,6 | 58,7 | 148 |
| ფოლადი (მილიონი ტონა) | 54,9 | 80,2 | 146 |
| მანქანათმშენებლობისა და ლითონის დამუშავების პროდუქცია (მილიარდი მანეთი) | 24 | 48 | 200 |
| ელექტროენერგია (მილიარდი კილოვატ-საათი) | 235 | 412 | 175 |
| ნავთობი (მილიონი ტონა) | 113 | 206 | 182 |
| გაზი (მილიარდი კუბური მეტრი) | 29,9 | 91,5 | 306 |
| მინერალური სასუქები (მილიონი ტონა) | 12,4 | 19,9 | 160 |
| სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები (ათასი ტონა) | 257 | 589 | 229 |
| ქიმიური ბოჭკოები (ათასი ტონა) | 166 | 308 | 186 |
| ცემენტი (მილიონი ტონა) | 33 | 61 | 183 |
| ყველა სახეობის ქსოვილები (მილიონი გრძივი მეტრი) | 7.539 | 8.615 | 114 |
| ტყავის ფეხსაცმელი (მილიონი წყვილი) | 356 | 463 | 130 |

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი" № 39.

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

ამას წინათ დამტკიცებულ იქნა 1964 და 1965 წლების, შვიდწლედის დამამთავრებელი წლების სახალხო-სამეურნეო გეგმა. ახლა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხუთი წლის შედეგები და ორი წლის საგეგმო დავალებანი უზრუნველყოფენ შვიდწლიანი გეგმის არამარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებით შესრულებასაც.

თუ მრეწველობაში დასახული იყო შვიდწლედის განმავლობაში დაახლოებით 80 პროცენტით გაგვედიდებინა წარმოების მოცულობა, როგორც ჩანს, იგი გადიდდება სულ ცოტა 86 პროცენტით. გადაჭარბებით შესრულდება შვიდწლედის დავალებანი სამრეწველო პროდუქციის ბევრი უმნიშვნელოვანესი სახეობის ხაზითაც.

რამდენიმე წლის წინათ, როცა ჩვენ ვამბობდით, რომ აუცილებლად დავეწევით და გავუსწრებთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებს მრეწველობის წარმოების დონით, კაპიტალისტური სამყაროს იდეოლოგები თავს უფლებას აძლევდნენ მოწყალე ღიმილით შეხვედროდნენ ამას.

ახლა სულ სხვა მდგომარეობაა. კაპიტალიზმის სამყარო, ამერიკის შეერთებული შტატები უკვე აშკარად გრძნობენ ჩვენს სუნთქვას, ხედავენ, რომ საბჭოთა მრეწველობა მთელ რიგ დარგებში ეწევა და უკვე გაუსწრო ამერიკის შეერთებულ შტატებს.

წარმოების სოციალისტური სისტემის უპირატესობა, მრეწველობის განვითარების საბჭოთა ტემპი ისეთ სინამდვილედ გადაიქცა, რომელსაც ვერსად ვერ გაექცევი. როცა ჩვენ დავსახეთ ქიმიური მრეწველობის განვითარების გრანდიოზული გეგმა, კაპიტალისტური სამყაროს ყველაზე რეალურად მოაზროვნე წარმომადგენლები იძულებული იყვნენ განეცხადებინათ, რომ საბჭოთა მრეწველობას, საბჭოთა ხალხს შეუძლია განახორციელოს ასეთი უდიდესი სამუშაოები.

მაგრამ გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენს მოწინააღმდეგეებს ახარებთ საბჭოთა კავშირის წარმატებანი. რწმენის უქონლობა შიშს ბადებს ჩვენს მოწინააღმდეგეებში, ხოლო შიში ცუდი მრჩეველია. და აი უკვე გაჩნდა ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უბადრუკი „დოკუმენტები“ იმის შესახებ, რომ თითქოს საბჭოთა ეკონომიკა ნაკლები ტემპებით ვითარდება. ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ნაყალბევში ამტკიცებენ, რომ საბჭოთა კავშირის სამეურნეო განვითარების ტემპები თითქოს უფრო დაბალია, ვიდრე ამერიკელებისა, და უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში შეადგენს წელიწადში 2,5 პროცენტზე ნაკლებს.

რა უნდა ითქვას ამის გამო? კარგი, ბატონო იმპერიალისტებო, შეგიძლიათ ინუგეშოთ თავი როგორიც გნებავთ ილუზიებით. ეს ჩვენთვის სულ ერთია. კარგი ცხოვრება როდი გალაპარაკებთ ასეთ ტყუილს. გინდათ შთააგონოთ თქვენი ქვეყნების ხალხებს, სოციალიზმი არც ისე კარგია, როგორც ამბობენ. მაგრამ მთელი მსოფლიოს ადამიანები, და ახლა ასეთი ადამიანები სულ უფრო და უფრო მეტია, უკვე კარგად ხედავენ, თუ რა მოაქვს ადამიანისათვის სოციალიზმს, რა სიმაღლეებს აღწევს საწარმოო ძალების განვითარება სოციალიზმის დროს.

მეტად უხეშად იმუშავეს ამერიკელმა მზვერავებმა, და მათი ტლანქი მუშაობა ამერიკის ბურჟუაზიულმა პრესამაც კი სასაცილოდ აიგდო. მაგალითად, გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერდა, რომ „ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დასკვნები ეწინააღმდეგება დასკვნებს, რაც გამოიტანეს მეტმა წილმა არაოფიციალურმა სპეციალისტებმა საბჭოთა ეკონომიკის დარგში...“.

ინგლისური ყოველკვირეული „ეკონომისტი“, რომელზეც ვერაფრით ვერ მივიტანთ ეჭვს, რომ სიმპათიით ეკიდებოდეს საბჭოთა ქვეყანას, ამის გამო წერდა: „ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მთავარი „აღმოჩენა“ ის არის, რომ სსრ კავშირის საერთო ეროვნული შემოსავალი იზრდებოდა მხოლოდ 2,5 პროცენტით უკანასკნელი ორი წლის მანძილზე. ეს ციფრი დაუჯერებლად დაბალია 1962 წლისათვის და მეტისმეტად დაბალია 1963 წლისათვის არა მარტო საბჭოთა ოფიციალურ მონაცემებთან, არამედ დასავლეთელი სპეციალისტების წარსულ გაანგარიშებებთან შედარებითაც, მათ შორის იმ გაანგარიშებებთან შედარებითაც, რომლებსაც თვითონ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აკეთებდა“.

როგორც ხედავთ, მეტად თავაზიანად და ამასთანავე საკმაოდ პირდაპირ „ეკონომისტმა“ ამხილა ამერიკელ მზვერავთა აშკარა ფალსიფიკაცია.

მოდით ვნახოთ, როგორია სინამდვილეში საქმის ვითარება საბჭოთა ეკონომიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის ზრდის ტემპების მხრივ.

მოვიყვან ზოგიერთ მონაცემს ამის შესახებ.

უკანასკნელ ორ წელიწადში სსრ კავშირის მრეწველობის პროდუქცია 19 პროცენტით გაიზარდა, ხოლო საერთო საზოგადოებრივი პროდუქტი, მიუხედავად იმისა, რომ 1963 წელი მოუსავლიანი იყო, 11 პროცენტით გადიდდა.

საბჭოთა კავშირის მრეწველობის პროდუქცია ათ წელიწადში 171 პროცენტით გაიზარდა (2,7-ჯერ), ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში — 36 პროცენტით. მატერიალური წარმოების ყველა დარგის შეჯამებული პროდუქცია (საერთო საზოგადოებრივი პროდუქტი) ამავე პერიოდში სსრ კავშირში გადიდდა 127 პროცენტით, ანუ 2,3-ჯერ, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი — მხოლოდ 33 პროცენტით.

1963 წელს საბჭოთა კავშირმა უკვე აწარმოვა ამერიკის მრეწველობის მოცულობის დაახლოებით 65 პროცენტი, მაშინ როცა ჯერ კიდევ ათი წლის წინათ ჩვენი ქვეყნის მრეწველობის პროდუქციის მოცულობა შეადგენდა ამერიკის შეერთებული შტატების პროდუქციის მხოლოდ მესამედს. ყოველი მოსწავლე იტყვის, რომ ორი მესამედი ერთიორად მეტია, ვიდრე ერთი მესამედი.

ეს ზოგადი პროცენტები ნიშნავს, რომ შესაბამისად იზრდებოდა ელექტროენერგიის წარმოება, ფოლადის გამოდნობა, სათბობის მოპოვება, ქიმიური პროდუქციის, მანქანების, ცემენტის, სახალხო მოხმარების საქონლისა და სხვა პროდუქციის გამოშვება.

გაიხსენეთ, ამხანაგებო, რით დავიწყეთ ჩვენი ელექტროფიკაცია. 1920-1921 წლებში — სამეურნეო ნგრევის მძიმე ჟამს, რაც სამოქალაქო ომით იყო გამოწვეული, ჩვენ შევძელით საექსპლოატაციოდ გადაგვეცა მხოლოდ 12 ათასი კილოვატი ახალი ელექტროსიმძლავრეები. ამ პირობებში წინასწარმეტყველურად გაისმა ვ. ი. ლენინის სიტყვები, გამსჭვალული ჩვენი მომავლის ღრმა რწმენით:

„12 ათასი კილოვატი მეტად მცირე დასაწყისია. შეიძლება, უცხოელმა, რომელიც ამერიკის, გერმანიის ან შვეციის ელექტროფიკაციას იცნობს, ამას დასცინოს კიდეც. მაგრამ კარგად იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის“.

რა კარგად თქვა ვლადიმერ ილიას-ძემ, რა შორსმჭვრეტელი იყო იგი!

ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით შემუშავებულ იქნა რუსეთის ელექტროფიკაციის სახელმწიფო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა, რომ 10-15 წლის მანძილზე აეშენებინათ ჩვენს ქვეყანაში 1,5 მილიონი კილოვატი საერთო სიმძლავრის ელექტროსადგურები. ცნობილია, თუ რა სკეპტიციზმით, რა ირონიით შეხვდა ამ ლენინურ გეგმას ბურჟუაზიული დასავლეთი. საბჭოთა ადამიანებმა 11 წელიწადში შეასრულეს ეს გეგმა. მაშასადამე, ლენინმა სწორად განჭვრიტა შესაძლებლობანი, და ჩვენ ვიზეიმეთ ეს გამარჯვება.

1926 წელს აშენდა ვოლხოვის 58 ათასი კილოვატი სიმძლავრის ჰიდროსადგური. ჩვენ ყოველთვის განსაკუთრებული სიყვარულითა და გულთბილობით ვიგონებთ ამას. ვოლხოვის სადგური ელექტროფიკაციის პირმშო იყო და ილიჩის დავალებით შენდებოდა. ვოლხოვის ჰიდროსადგურის მშენებლობა გადაიქცა მთელი ჩვენი ქვეყნის შრომითს დღესასწაულად, ჩვენი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დღესასწაულად. საჭირო არ არის განვმარტოთ ციფრი 58 ათასი კილოვატი. ვიტყვი მხოლოდ შესადარებლად, რომ ზოგიერთ ჩვენს თბოელექტროსადგურში უკვე დადგმულია 300 ათასი კილოვატი სიმძლავრის ტურბოგენერატორები. ხუთი ვოლხოვის ჰიდროსადგური ერთ აგრეგატში!

საბჭოთა ადამიანები ამაყობდნენ, როცა ააშენეს დნეპრის 560 ათასი კილოვატი სიმძლავრის ჰიდროსადგური. სულ ცოტა ხნის წინათ კი, გასულ თვეში, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ ბრატსკის ჰიდროსადგურის მშენებლობის ყველა მონაწილეს მიულოცეს ამ სადგურის ამუშავება სრული სიმძლავრით — 3 მილიონ 600 ათასი კილოვატი სიმძლავრით. ეს, ამხანაგებო, ექვსი დნეპრჰესი და სამოცზე მეტი ვოლხოვის სადგურია!

მთელი ომამდელი ხუთწლედების მანძილზე ჩვენ ავამოქმედეთ 10 მილიონ კილოვატზე ნაკლები სიმძლავრის სადგურები, ამ ცოტა ხნის წინათ კი მოკრძალებით ვიუწყებოდით, რომ მარტო 1963 წელს ავამოქმედეთ 10 მილიონ კილოვატზე მეტი ახალი სიმძლავრენი — ერთ წელიწადში თითქმის შვიდი გოელროს გეგმა. აი ჩვენი ხალხის ჭეშმარიტად გოლიათური ნაბიჯები კომუნიზმის მშენებლობის გზაზე!

1953 წელს ჩვენს ქვეყანაში ამოქმედდა 3.4 მილიონი კილოვატი ელექტროსიმძლავრენი, ხოლო შეერთებულ შტატებში — 10 მილიონი კილოვატი, ანუ სამჯერ მეტი, ვიდრე სსრ კავშირში, ახლა კი ჩვენ მწყობრში შეგვყავს თითქმის იმდენივე, რამდენიც ამერიკის შეერთებულ შტატებს.

არანაკლებ მკაფიო სურათია მრეწველობის სხვა დარგებშიც.

1953 წელს საბჭოთა კავშირში **გამოდნობილ იქნა ფოლადი** 38 მილიონ ტონაზე ცოტა მეტი, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში — დაახლოებით 104 მილიონი ტონა. 1963 წელს სსრ კავშირში უკვე გამოდნობილი იყო 80 მილიონ ტონაზე მეტი ფოლადი, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში — 101 მილიონი ტონა. ეს ნიშნავს, რომ ამ პერიოდში საბჭოთა კავშირში ფოლადის გამოდნობა გადიდდა 42 მილიონი ტონით, ხოლო შეერთებულ შტატებში შემცირდა კიდევაც 3 მილიონი ტონით.

ცნობილია, რომ **სათბობის წარმოება** დიდმნიშვნელოვანი პირობაა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. ჰო და, განვლილ 10 წელიწადში ყველა სახეობის სათბობის მოპოვება და წარმოება სსრ კავშირში გადიდდა 122 პროცენტით, ანუ 2,2-ჯერ, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი — მხოლოდ 24 პროცენტით. ნავთობის მოპოვება ამ ხნის მანძილზე სსრ კავშირში გაიზარდა 52,8 მილიონი ტონიდან 206 მილიონ ტონამდე, ანუ 153 მილიონი ტონით, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი გადიდდა 318,5 მილიონი ტონიდან 374 მილიონ ტონამდე, ანუ სულ 55,5 მილიონი ტონით.

ახლა მაგალითისათვის ავიღოთ **ცემენტის წარმოება.** საბჭოთა კავშირი 1953 წელს აწარმოებდა 16 მილიონ ტონა ცემენტს, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები — 45 მილიონ ტონას, ესე იგი თითქმის 3-ჯერ მეტს, ვიდრე სსრ კავშირი. ახლა მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. 1963 წელს სსრ კავშირში წარმოებულია 61 მილიონი ტონა ცემენტი, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი — 58,5 მილიონი ტონა.

მზარდი სახალხო მეურნეობა შესაძლებლობას გვაძლევს ავამაღლოთ მშრომელთა ცხოვრების დონე. განუწყვეტლივ იზრდება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები. საზოგადოებრივი ფონდების საშუალებით ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება უფასო სწავლება და სამედიცინო მომსახურება, ანაზღაურება ავადმყოფობის, შვებულებების დროს, პენსიების, დახმარების გაცემა და სხვ. მარტო უკანასკნელ წელს მოხმარების საზოგადოებრივმა ფონდებმა უზარმაზარი თანხა — 34,5 მილიარდი მანეთი შეადგინა. ეს კი ორჯერ მეტია, ვიდრე სსრ კავშირის მთელი სახელმწიფო ბიუჯეტი ომამდელ 1940 წელს.

ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება უდიდესი საბინაო მშენებლობა. მე უკვე მითქვამს, რომ ბინების, რიცხვით, რომლებიც ყოველწლიურად შენდება, საბჭოთა კავშირმა შორს გაუსწრო ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებსაც. უკანასკნელ ათ წელიწადში ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ნახევარმა მიიღო ახალი ბინები ან გაიუმჯობესა საბინაო პირობები.

ჩვენ ვამაყობთ, რომ სულ უფრო იზრდება საბჭოთა ხალხის კულტურა. თუ ოცდახუთი წლის წინათ 1939 წლის აღწერისას, ჩვენი ქვეყნის მომუშავე მოსახლეობის 12 პროცენტს ჰქონდა საშუალო და უმაღლესი განათლება, ამჟამად ასეთი განათლება უკვე 50 პროცენტს აქვს. ეს შესანიშნავია, რომ ჩვენი ქვეყნის მომუშავე მოსახლეობის ნახევარს საშუალო და უმაღლესი განათლება აქვს!

რასაკვირველია, ჩვენი ეკონომიკის განვითარებას თან ახლავს გარკვეული სიძნელენი. სამწუხაროდ, ჩვენ არ ძალგვიძს ბუნებას ვუბრძანოთ, და შარშან ბუნებამ მართლაც გვაწყენინა.

ახლა ყვავ-ყორნები აჩხავლდნენ, რომ საბჭოთა კავშირი თითქოს მარცხდება სოფლის მეურნეობის დარგში. ბატონებო, ყელს გაუფრთხილდით, მალე უკანდახევა მოგიხდებათ. ამჟამად პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა ახორციელებენ ღონისძიებებს, რომლებიც საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ ისეთი მოვლენები, რაც 1963 წელს გვქონდა. ჩვენ ვიცით ამ მოვლენების ბუნება. გვალვა პერიოდულად ბევრ ქვეყანაში მეორდება. და იმისათვის, რომ გვალვისაგან გარანტირებული იყოს, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს საკმაო რეზერვები. ხოლო იმისათვის, რომ რეზერვები გვქონდეს, უნდა ავამაღლოთ წარმოების დონე, არ უნდა გვქონდეს მარტო იმ მოსავლის იმედი, რომლის მიღების საშუალებას ბუნების პირობები გვაძლევს.

ახლა უფრო მეტად უნდა დავეყრდნოთ კაპიტალდაბანდებებს იმისათვის, რომ ამინდის იმ პირობებში, რომლებიც ამა თუ იმ რაიონშია, უზრუნველვყოთ პროდუქციის მაქსიმალური წარმოება. ამას კი მინერალური სასუქები გვაძლევს. ამას გვაძლევს მორწყვა, მექანიზაცია და ქიმიზაცია. ეს ნიშნავს, რომ უნდა გადავიდეთ მეურნეობის გაძღოლის ინტენსიურ ფორმაზე, ესე იგი არ დავჯერდეთ იმას, რასაც ბუნება გვაძლევს, არამედ ვაიძულოთ ბუნება მოგვცეს ის, რის მოცემაც მას შეუძლია ქიმიის, სასოფლო-სამეურნეო და ბიოლოგიური მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონის პირობებში.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შესაბამისი კაპიტალური დაბანდებებით, სასუქების ფართოდ გამოყენებით, ირიგაციისა და მექანიზაციის განვითარებით შეიძლება მოკლე ვადაში გავზარდოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ქოთნებს წმიდანები როდი აკეთებენ. რასაკვირველია, შეერთებულ შტატებს ახლა მოსავლიანობის ჩვენზე უფრო მაღალი დონე აქვთ, ჩვენზე უხვ მოსავალს იღებენ იმიტომ, რომ უფრო მეტ სახსრებს აბანდებენ ქიმიაში, მექანიზაციაში.

ახლა ჩვენცა გვაქვს შესაძლებლობა ახალი მნიშვნელოვანი სახსრები მოვახმაროთ სასოფლო-სამეურნეო ქიმიის განვითარებას და რეალური შესაძლებლობა გვეძლევა გავზარდოთ მოსავლიანობა, ამ მაჩვენებლით მივაღწიოთ დასავლეთ ევროპის განვითარებული ქვეყნების დონეს. ამ ქვეყნებზე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ მათი მოსავლიანობა მნიშვნელოვნად უფრო მაღალია, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამიტომ, მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში ჩვენთვის ორიენტირი მარტო ამერიკის შეერთებული შტატები არ უნდა იყოს. ჩვენ უნდა მივაღწიოთ უფრო მაღალ დონეს, რომელსაც სხვა ქვეყნებმა მიაღწიეს. ჩვენს ქვეყანაშიც არის ისეთი მეურნეობები, რომლებსაც ასეთივე და უფრო მაღალი მაჩვენებლებიც აქვთ.

ჩვენ შესანიშნავი ადამიანები გვყავს. ზოგიერთ მათგანს თქვენ ამ პლენუმზე მოუსმინეთ. მათ უდიდესი სურვილი აქვთ მიაღწიონ სოფლის მეურნეობის აღმავლობას. გვაქვს ცოდნა, გვაქვს ტექნიკა.

ახლა ჩვენ დავსახეთ ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის სწრაფი ქიმიზაციისათვის, და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბატონებო, — ჩვენს მეგობრებში კი ეს ეჭვს არ იწვევს, — რომ პროგრამას, რომელიც ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა მიიღო, ჩვენ შევასრულებთ.

საბჭოთა სახელმწიფოს მტრები თავს იტეხენ აგრეთვე, იმაზე თუ როგორ გაიგონ დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი. რა არის ეს, გადაუხვია თუ არ გადაუხვია საბჭოთა კავშირმა მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების გენერალურ ხაზს, რომელსაც აქამდე განუხრელად იცავდა. გაისმის ხმები, რომ ახლა, სინამდვილის გავლენით, მოუსავლიანობისას, საბჭოთა კავშირი, კომუნისტური პარტია უარს ამბობენ ინდუსტრიალიზაციაზე და იღებენ მსუბუქი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის განვითარების კურსს.

ჩვენ არასოდეს არ გვითქვამს უარი წარმოების საშუალებათა მრეწველობის განვითარებაზე ამის ლაპარაკი ნიშნავს, რომ მათ არ ესმით საბჭოთა სახელმწიფოს ბუნება, კომუნისტური პარტიის პოლიტიკა. ქიმიური მრეწველობა ყოველთვის განეკუთვნებოდა მძიმე ინდუსტრიას. მაგრამ უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ქიმია გვაძლევს როგორც წარმოების საშუალებებს, ისე მოხმარების საშუალებებს. ამასთან დაკავშირებით მინდა მოვიყვანო ზოგიერთი ციფრი.

მოხმარების სტრუქტურის მიხედვით ამჟამად ქიმიური მასალები დაახლოებით ასე ნაწილდება დარგებს შორის (ფულადი გამოხატულებით):

| | პროცენტობით |
|---|---|
| მძიმე მრეწველობის დარგები | 61 |
| სოფლის მეურნეობა | 19 |
| მსუბუქი და კვების მრეწველობა | 10 |
| სხვა დარგები | 10 |

მაშასადამე, ქიმია გვაძლევს, ერთი მხრივ, წარმოების საშუალებებს — სასუქებს, სხვადასხვა მჟავებს, კალცინირებულ და კაუსტიკურ სოდას, კაუჩუკს, პლასტიკურ მასებს, რომლებიც ლითონებს ცვლიან, მეორე მხრივ — მოხმარების საგნებს: ხელოვნურ ტყავს, ბეწვეულს, საყოფაცხოვრებო ქიმიის საქონელს და ა. შ.

სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის პროგრამა, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა დასახა, მოიცავს როგორც წარმოების სფეროს, ისე მოხმარების სფეროს, და არ შეიძლება ითქვას, რომ იგი ეხება მხოლოდ „ბ“ ჯგუფს ან „ა“ ჯგუფს. უდავოა ერთი რამ: ქიმია, ხატოვნად რომ ვთქვათ, კარგად აერთიანებს სახელმწიფოს, ხალხის ინტერესებს, რომ განავითარონ მძიმე ინდუსტრია, საბჭოთა ადამიანების დაინტერესებას, რომ სწრაფად გაადიდონ მოხმარების საგნების — როგორც კვების პროდუქტების, ისე ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვადასხვა საგნების წარმოება.

მხოლოდ დახავსებულ დოგმატიკოსებს შეუძლიათ მიიჩნიონ ეს გენერალური ხაზისაგან გადახვევად. არა, ეს მისი შემდგომი განვითარებაა, მეცნიერებისა და ტექნიკის შესაძლებლობათა და იმ მოთხოვნათა გონივრული გათვალისწინებაა, რომლებსაც ახლა ცხოვრება აყენებს, რათა შევქმნათ უკეთესი პირობები ჩვენი ხალხის მზარდ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. აი რა არის პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა არსი.

ასე რომ ტყუილად ღელავთ, ბატონებო. თქვენი იმედები ემყარება იმავე ქვიშის საფუძველს, რომელზეც ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე დგახართ თქვენ მტრობაში სოციალიზმის ქვეყნის წინააღმდეგ. და ეს ნიადაგი არათუ არ მტკიცდება, არამედ, პირიქით, ქვიშა სულ უფრო მეტად მოძრავი ხდება. ცხოვრება დამაჯერებლად და უცილობლად ცხადყოფს თქვენს უსაფუძვლობასა და თქვენს განწირულობას და ადასტურებს ლენინის სიმართლეს, ჩვენი პარტიის სიმართლეს.

ის ფაქტი, რომ საზღვარგარეთ ასე ბევრს ლაპარაკობენ ჩვენი ქვეყნის მძიმე ინდუსტრიისა და მსუბუქი მრეწველობის თანაფარდობის შესახებ, არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ მტრების ავყიაობით. როგორც ჩანს, იქ ისიც არის, რომ ზოგს არ ესმის საქმის არსი. ამიტომ მინდა რამდენადმე უფრო დაწვრილებით შევეხო ამ საკითხს.

ჩვენი სახელმწიფოს ისტორია ისე წარიმართა, რომ უმალვე, როგორც კი ხალხმა თავის ხელში აიღო ძალაუფლება, მის წინაშე დაისახა ამოცანა: რადაც უნდა დაჯდომოდა შეექმნა მრეწველობა, რომელიც აწარმოებს წარმოების საშუალებებს. სხვანაირად ვერ აღმოვფხვრიდით რუსეთის საუკუნეობრივ ჩამორჩენილობას, ვერ აღვადგენდით ჩვენი ქვეყნის დანგრეულ ეკონომიკას. ჩვენ არავისგან არ ველოდით დახმარებას და მაშინ მხოლოდ ჩვენი საკუთარი ძალების იმედი უნდა გვქონოდა. მძიმე ინდუსტრიის შექმნისათვის ვ. ი. ლენინი მოგვიწოდებდა გაგვეწია ეკონომია ყველაფერში სკოლების მშენებლობაშიც კი. და ეს ერთადერთი სწორი გზა იყო.

ჩვენ უფრო მაგრად ვიჭერდით ქამარს, ვშიმშილობდით, ნაკლებად ვაშენებდით სკოლებსა და საცხოვრებელ სახლებს, ბევრ ისეთ რამეზე ვამბობდით უარს, რაც ასე მწვავედ ესაჭიროებოდა ხალხს, რათა კიდევ ერთი კაპიკი დაგვეზოგა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის.

პარტიას, საბჭოთა ადამიანებს ესმოდათ, რომ საკითხი, თუ რას მოახმარონ კაპიტალური დაბანდებანი — მძიმე ინდუსტრიას თუ მსუბუქ მრეწველობას, ყველაზე მწვავე პოლიტიკური საკითხი, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ყოფნა-არყოფნის, მომავლის საკითხი იყო. თუ არა მრეწველობა, რომელიც წარმოების საშუალებებს აწარმოებს, შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის აღდგენა. პარტიამ ჩამოიშორა ოპოზიციონერები, რომლებიც ილაშქრებდნენ ლენინური გენერალური ხაზის — ინდუსტრიალიზაციის ხაზის წინააღმდეგ.

ჩვენი პარტია და საბჭოთა ხალხი მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებენ ლენინურ გენერალურ ხაზს. საბჭოთა ქვეყანამ თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მეურნეობა არაერთხელ გაუჩანაგებია გამანადგურებელ ომებს, რომლებსაც იმპერიალისტები გვახვევდნენ თავს. საბჭოთა ხალხმა პარტიის ხელმძღვანელობით გაუძლო ყველა განსაცდელს, გაანადგურა მტრები, შექმნა პირველხარისხოვანი ინდუსტრია, გადააქცია ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მაღალგანვითარებულ სახელმწიფოდ.

პარტია კვლავაც იზრუნებს მძიმე ინდუსტრიის განვითარებისათვის, მაგრამ მას არასოდეს არ მიაჩნდა ეს თვითმიზნად. კომუნისტურმა პარტიამ მძიმე მრეწველობის აღმავლობა დააჩქარა იმისათვის, რომ შეექმნა ჩვენი ქვეყნის მძლავრი ეკონომიური პოტენციალი და ამ საფუძველზე მიეღწია ხალხის ცხოვრების მაღალი დონისათვის.

ჩვენ გვაქვს მაღალ განვითარებული მძიმე ინდუსტრია, რომელსაც შეუძლია გადაჭრას მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ყოველი ამოცანა და უზრუნველყოს ტექნიკური პროგრესი ეკონომიკის ყველა დარგში. ჩვენ შევქმენით ყველაზე თანამედროვე იარაღი, აღვჭურვეთ შეიარაღებული ძალები სრულყოფილი რაკეტულ-ატომური ტექნიკით, ამასთან ეს იმპერიალისტურ სახელმწიფოებზე ადრე გავაკეთეთ. საბჭოთა ხალხს შეუძლია გულდაჯერებით იშრომოს კომუნიზმის დიდებული შენობის შესაქმნელად.

გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდში მძიმე ინდუსტრია სულ უფრო მეტად იმუშავებს ადამიანის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. წლითიწლობით იზრდება მსუბუქი მრეწველობისათვის საჭირო მოწყობილობისა და ნედლეულის წარმოება. ამასთან ერთად სულ უფრო მეტი მასშტაბით გადიდდება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. ახლა არ შეიძლება იყოს „ა“ ჯგუფისა და „ბ“ ჯგუფის ერთმანეთისადმი რაიმე დაპირისპირება.

მოსახლეობისათვის საჭირო პროდუქტებისა და საქონლის წარმოების მასშტაბის გადიდების კვალობაზე ეს პროდუქტები და საქონელი სულ უფრო ხელმისაწვდომი გახდება ხალხისათვის, ხოლო მათი ფასები შემცირდება. მაგრამ ამავე დროს განუწყვეტლივ გაიზრდება დაგროვების საერთო თანხა. და რაც უფრო მეტს ვაწარმოებთ მოხმარების საგნებს, მით უფრო მეტი იქნება დაგროვება, ესე იგი, შესაძლებლობანიც იმისათვის, რომ უკეთ დავაკმაყოფილოთ ხალხის მოთხოვნილებანი და კიდევ უფრო განვავითაროთ მძიმე მრეწველობა, რომელიც უზრუნველყოფს გაფართოებულ კვლავწარმოებას, ჩვენი ქვეყნის მთელი ეკონომიკის ზრდას.

ბურჟუაზიული კრიტიკოსები, რომლებიც ფიქრობენ, რომ საბჭოთა კავშირი იძულებულია მოუსავლიანობის გავლენით გადასინჯოს თავისი პოლიტიკა და მეტი კაპიტალური დაბანდებანი გამოჰყოს მოხმარების საგნების წარმოებისათვის, თავიანთ დასკვნებს საფუძვლად უდებენ არასწორ, წინასწარ აკვიატებულ თვალსაზრისს.

## სრულვყოთ სახალხო მეურნეობის დაგეგმვა

ამხანაგებო! ჩვენი სოციალისტური სისტემისათვის გეგმა მთელი სამეურნეო მშენებლობის საფუძველია. თანამედროვე პირობებში, როცა მრეწველობა, სასოფლო-სამეურნეო წარმოება, მეცნიერება და კულტურა არაჩვეულებრივად გაიზარდა, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზუსტ მეცნიერულ დაგეგმვას სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგის განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით. სწორედ ამიტომ ჩვენ უნდა ვიჩენდეთ უაღრესად სერიოზულ და ღრმა პარტიულ ზრუნვას საგეგმო ორგანოების საქმიანობისათვის. საჭიროა კვლავაც სრულვყოთ საგეგმო და სამეურნეო ორგანოების მუშაობა, ჩვენი კადრების მთავარი ყურადღება მივაპყროთ ამჟამად არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

ცხოვრება მუდამ ადასტურებს, რომ საჭიროა სრულვყოფდეთ სახალხო მეურნეობის დაგეგმვას, ამასთან განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდეთ წარმოების ყველაზე პროგრესული დარგების განვითარებას.

ავიღოთ, მაგალითად, ქიმიური მრეწველობა. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, და საჭიროა, რომ ეს ყველა ამხანაგმა გაიგოს: ქიმია მოდა როდია; და მარტოოდენ გატაცებისათვის როდი მოვკიდეთ ხელი ყველგან ქიმიური მრეწველობის განვითარებას; ნუ ფიქრობენ, რომ მოდა გაივლის და აღარ იქნება საჭირო ასე დაძაბული მუშაობა ქიმიაზე, როგორც ამას ახლა პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს.

წარმოებაზე თავისი გამარევოლუციურებელი ზემოქმედებით თანამედროვე ქიმია ელექტრობას უახლოვდება. თუ შედარებას მივმართავთ, ელექტრობა ენერგიაა, რომელიც აძლიერებს ადამიანის ხელებსა და სხეულის კუნთებს, ეს არის მექანიკური ძალა, რომელიც მუშაობს ადამიანის მართვით და ამოძრავებს ყველაფერს დედამიწაზე, თუ პირდაპირი არა, გადატანითი აზრით. მაგალითად, რაკეტას, ერთი შეხედვით, ელექტრობა როდი ამოძრავებს, მაგრამ მის ბევრ ხელსაწყოს ელექტრული აკუმულატორები ამუშავებენ. ყველაფერი, რისგანაც გაკეთებულია რაკეტა-ალუმინი, ფოლადი, სპილენძი, სინთეზური მასალები, — შეიძლება ითქვას, წარმოებულია ელექტრული ენერგიის საშუალებით. მე აღარას ვამბობ იმაზე, რომ ტრაქტორიც, ავტომობილიც, პრაქტიკულად ყველაფერი, რაც ჩვენს ცხოვრებაშია, ახლა ელექტრობის საშუალებით იქმნება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანის ცხოვრებისათვის ქიმია. ქიმია გვაძლევს საშუალებას შევცვალოთ ბუნებრივი მასალების თვისებანი, შევქმნათ ახალი მასალები ისეთი თვისებებით, რომლებიც შეუძლებელია იყოს ბუნებაში, ესე იგი ბევრჯერ გავადიდოთ შრომის საგნების რაოდენობა, უზრუნველვყოთ მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიური პროცესების მკვეთრი ინტენსიფიკაცია. მაგალითად, ჩვენ რომ არ ვიცოდეთ მინერალური სასუქებისა და მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების წარმოება, განა შევძლებდით დაგვესახა ის ამოცანა, რომ მოკლე ვადაში ავამაღლოთ სოფლის მეურნეობა და არა მარტო უზრუნველვყოთ ჩვენი ხალხის ახლანდელი მოთხოვნილებანი, არამედ შევქმნათ რეზერვები მომავლისათვის, იმ შემთხვევისათვის, თუ ბუნება გაიმეორებს თავის კაპრიზებს.

თქვენ იცით, რომ ქიმია, ასე ვთქვათ, პურია, ეს არის ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, ეს არის მშვენიერი მასალები, რომლებიც ფერად ლითონებს ცვლიან, ეს არის კაუჩუკი, სამკურნალო ნივთიერებანი. ახლა ქიმიური მეცნიერება წყვეტს სინთეზური ცილების შექმნის პრობლემას. ბუნებრივია, მიძნელდება ვთქვა, რამდენი ნივთიერების მიღება შეიძლება ქიმიური მეთოდებით, მაგრამ მტკიცედ მწამს, რომ მომავალში ასეთ ნივთიერებათა რაოდენობა მკვეთრად გადიდდება.

მიუხედავად იმისა, რომ ქიმიას ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ეკონომიკის განვითარებისათვის, საგეგმო და სამეურნეო ორგანოების ზოგიერთი მუშაკის თვალში ქიმიური მრეწველობა მეორეხარისხოვანი საქმე აღმოჩნდა. რით შეიძლება ავხსნათ ასეთი დამოკიდებულება ქიმიისადმი ქვეყანაში, რომელმაც მსოფლიოს მისცა ქიმიური მეცნიერების კორიფეები — ლომონოსოვი, მენდელეევი, ბუტლეროვი და სხვები? მხოლოდ იმით, რომ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მუშაკთა ერთმა ნაწილმა წარმოების გარკვეული დარგისადმი თავისი უწყებრივი მიკერძოების გამო დროზე ვერ შეაფასა ქიმიის მნიშვნელობა.

ქიმია ისეთი მასშტაბისა და მნიშვნელობის პროგრესული მიმართულებაა, რომელმაც გადამწყვეტი გავლენა უნდა მოახდინოს მთელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე. ქიმიას დიდი ეფექტიანობით შეუძლია შეცვალოს ბევრი ნაკეთობა, რასაც ახლა ბუნებრივი მასალებისაგან ვაწარმოებთ.

თითქოს უდავოა, რომ ქიმიას უპირატესობა უნდა მივანიჭოთ, არაფრით არ უნდა შევზღუდოთ, უფრო მეტი გამოვყოთ კაპიტალური დაბანდება ქიმიური ინდუსტრიის განვითარებისათვის.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ქიმიას ასეთი რევო-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

# ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(დასასრული)

ლუციური მნიშვნელობა აქვს ჩვენი ეკონომიკის განვითარებისათვის, ეს დარგი თითქოს მეორეხარისხოვანი დარგი აღმოჩნდა.

ახლა შვიდწლედის ხუთი წელი გავიდა, და ჩვენ დიდი დამატებითი დაგროვება გვაქვს. ქიმიას თითქოს უპირატესობა უნდა მივანიჭოთ და მეტი კაპიტალური დაბანდება გამოვუყოთ. 1958 წელს ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, დავსახეთ ქიმიის განვითარების პროგრამა. მაგრამ იგი მთლიანად როდი სრულდება. რატომ? რა, სახსრები არა გვქონდა? სულაც არა. ჩვენ გადაჭარბებით ვასრულებთ მეტალურგიის, ნავთობის მოპოვებისა და სხვა დარგების გეგმებს, ქიმიის დავალებანი კი, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმმა გაითვალისწინა, უზრუნველყოფილი არ არის.

რით უნდა ავხსნათ ეს? როგორ ხდება ჩვენში სხვადასხვა დარგს შორის სახსრების განაწილების პროცესი? ავიღოთ, მაგალითად, მეტალურგიის კომიტეტი. ამ კომიტეტის ხელმძღვანელებს ნაკლებად აინტერესებთ ქიმია. ისინი უწინარეს ყოვლისა ფიქრობენ იმაზე, თუ როგორ განვითარდება ლითონის წარმოება. ეს ცუდი თვისება როდია. მაგრამ ეს თვისება ახლანდელი დროისათვის საკმარისი როდია. არ კმარა იყო ამა თუ იმ დარგის განყოფილების, სამმართველოს უფროსი, მინისტრი. კომუნისტი უნდა იყოს ყველაზე პროგრესული ადამიანი, რომელსაც ესმის, რომ საჭიროა მთელი საზოგადოების გარდაქმნა კომუნისტურ საწყისებზე.

კომუნიზმის ასაშენებლად საჭიროა დიდძალი სხვადასხვა მასალა. მაშასადამე, მუშაკებს, რომლებიც პასუხს აგებენ, მაგალითად, ფოლადის წარმოებისათვის, უნდა ესმოდეთ ახალი და გამოჰქონდეთ საჭირო პრაქტიკული დასკვნები. აი სწორედ ასეთი გაგება აკლია ზოგიერთ ხელმძღვანელ მუშაკს.

დარგობრივი მუშაკების თვალთახედვის შეზღუდულობა უნდა გაასწოროს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა. იგი მოვალეა დროულად გადაანაწილოს მატერიალური და ფულადი რესურსები. ახალი პროგრესული დარგების სასარგებლოდ, ამისათვის ჰქონდეს რეზერვები. სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, ხატოვნად რომ ვთქვათ, უნდა იყოს პარტიის ეკონომიური ბარომეტრი, რომელიც ზუსტად ეხმაურება იმ ახალს, პროგრესულს, რაც იბადება ეკონომიკაში. ჩვენში კი ზოგჯერ ისე გამოდის, რომ თვითეულ სექტორს, თვითეულ დარგს განკუთვნილი აქვს განსაზღვრული ადგილი და შექმნილი პროპორციების შეცვლა ძალიან ძნელდება. მეტი თვალსაჩინოებისათვის გამოვიყენებ გეომეტრიულ ტერმინებს. თუ ავიღებთ წრეს, გეომეტრიაში იგი დაყოფილია 360 გრადუსად. ყველა ეს 360 გრადუსი დანაწილებული აქვთ კომიტეტებს, სამინისტროებს, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილებებს. ამასთან თვითეული მათგანი თავისას პატრონობს მისთვის განკუთვნილ ფარგლებში. და, როგორც წესი, შემდეგი წლის გეგმის შემუშავებისა და დარგების მიხედვით კაპიტალური დაბანდების მოცულობის განსაზღვრის დროს საფუძვლად იღებენ მატების დონეს, რომელიც მიღწეულია გასულ წელს. თუ, მაგალითად, რომელიმე დარგში გასულმა წელმა მოგვცა 8,5 პროცენტი მატება, სწორედ ამ პროცენტს უდებს საფუძვლად შემდეგი წლის გეგმას უწყების მუშაკი, რომელიც იცავს თავისი დარგის ან თავისი სექტორის ინტერესებს, არ ითვალისწინებს შეცვლილ პირობებს.

მაგრამ რა ვუყოთ სიახლეს ეკონომიკაში? ეს სიახლე ხომ ყოველდღე იბადება და მოითხოვს ყურადღებას, მატერიალურ უზრუნველყოფას. მაგრამ რესურსები უკვე განაწილებულია ძველ დარგებსა და მიმართულებებს შორის. ასეთი მიდგომა ხელს უშლის ახალი დარგების განვითარებას, ტექნიკურ პროგრესს.

სოციალისტური საზოგადოება დაინტერესებულია ყოველივე ახლით და პროგრესულით. და თუ ეს სიახლე წინ სწევს წარმოებას, ზრდის ნაყოფიერებას, ამსუბუქებს ადამიანთა შრომას, ჩვენმა ხელმძღვანელმა საგეგმო და სამეურნეო ორგანოებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რათა დანერგონ ცხოვრებაში. არ უნდა დავიშუროთ ხარჯები პროგრესული მიმართულებებისათვის წარმოებაში.

საჭიროა გეგმიანად შევცვალოთ ტექნიკა, რომელმაც უკვე ამოსწურა თავისი თავი, ახლით, უფრო გაბედულად დავნერგოთ ყოველივე ის, რასაც აღმოაჩენს მეცნიერება და ტექნიკა, რაც ცვლის ძველს და უზრუნველყოფს დიდ მოგებას დახარჯული შრომის შედეგად. უნდა ველოლიავოთ ახალს, პროგრესულს, ისევე როგორც დედა ულოლიავებს თავის ბავშვს.

ჩვენი სოციალისტური დაგეგმვა გამსჭვალული უნდა იყოს შემოქმედების სულისკვეთებით, წარმოების განვითარებისათვის, მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესისათვის ზრუნვით. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი ჩვენი ეკონომიკისათვის, ეს განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკისათვის.

ახალი, რასაც მეცნიერება ბადებს, განსაკუთრებულ ყურადღებასა და მხარდაჭერას მოითხოვს. მაგალითად, სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა, საკონსტრუქტორო ბიურომ ან რომელიმე მეცნიერმა, გამომგონებელმა შექმნეს ახალი მასალა, შეიმუშავეს წარმოების პროგრესული პროცესი ან მაღალი წარმადობის მანქანა. ეს გაკეთდა ლაბორატორიაში, საპროექტო ორგანიზაციაში. შესაძლოა აწარმოეს კარგი თეორიული განგარიშება, მიიღეს ნივთიერება სინჯარებში ან შექმნეს ახალი ტექნიკის საცდელი ნიმუშები, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ შეამოწმეს ლაბორატორიულ ან საწარმოო პირობებში. მაგრამ ყოველივე ეს რომ სათანადოდ გამოვცადოთ, ყოველმხრივ შევამოწმოთ, სანამ რეკომენდაციას მივცემდეთ მრეწველობაში დასანერგავად, საჭიროა სახსრები, საჭიროა დანადგარები, ხელსაწყოები, მასალები. შესაძლოა საჭირო იყოს დამატებითი შემოწმება სამრეწველო პირობებში, ნახევრადსაფაბრიკო, ნახევრადსაქარხნო წარმოების წინასწარი მოწყობა.

და აი ახალი ტექნიკის ეს ენთუზიასტები მიდიან საგეგმო ორგანოებში და სთხოვენ გამოუყონ სახსრები და მასალები შემდგომი კვლევისა და ახალი ნაწარმის წარმოების მოწყობისათვის.

რას ხვდებიან ისინი ზოგჯერ? მათ ეუბნებიან: თქვენი სამუშაოსათვის საჭიროა კაპიტალური დაბანდებანი, ეს კი გათვალისწინებული არ არის გეგმით, მოითმინეთ მომავალ წლამდე, მაშინ გავითვალისწინებთ თქვენს განაცხადს.

არ შეიძლება ვალოდინოთ მეცნიერი, რომელსაც საინტერესო იდეა დაებადა, უცადოს მის დამუშავებასა და შემოწმებას, იმიტომ რომ ეს თემა გეგმაში არ მოხვდა. არ შეიძლება უარი ვუთხრათ მეცნიერს მისი წინადადების დამუშავებაზე მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ წინადადება დაიბადა 2 იანვარს, ხოლო 31 დეკემბერს დაამტკიცეს გეგმა. როგორ, მეცნიერმა მომავალ წლამდე იცადოს?

სწორედ ამაზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება, რათა ჩვენი ადამიანები სწორად აფასებდნენ, სწორად უდგებოდნენ დღევანდელობას და ქმნიდნენ ყველა პირობას ყოველივე იმ პროგრესულის, მოწინავის განხორციელებისათვის, რასაც ბადებს მეცნიერება.

და თუ გაჩნდა საქმიანი წინადადება, საჭიროა მისი განხორციელებისათვის გავაკეთოთ ყოველივე, რაც საჭიროა. ამისათვის საქმე ისე უნდა მოვაგვაროთ, რომ საგეგმო და სამეურნეო ორგანოებს ჰქონდეთ სარეზერვო სახსრები, რომ გვქონდეს ქარხნის თავისუფალი ფართობი, სადაც შესაძლებელი იქნება შეიქმნას ლაბორატორიული მოწყობილობა, მოეწყოს ნახევრადსაქარხნო წარმოება და ახალი მასალების ან ახალი ტექნიკის ნიმუშების დამზადების სამრეწველო შემოწმება, მათი გამოცდა, ტექნოლოგიის სრულყოფა და შემდეგ კი დაიწყოს მათი გამოყენება.

ჩვენი ძალა მარტო ის კი არ არის, რომ გვაქვს ყველაზე პროგრესული საზოგადოებრივი ფორმა — სოციალისტური სახელმწიფო, არამედ ის, რომ უნარი შეგვწევს სწრაფად გამოვიყენოთ ყოველივე ახალი, რასაც გვაძლევს მოწინავე მეცნიერება და ტექნიკა, ვიცით, როგორ გამოვიყენოთ სახალხო მეურნეობაში გამოგონებანი და აღმოჩენანი. მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის უნარიანად როდი ვიყენებთ ამ უპირატესობას.

ამოცანა ის არის, რომ აღმოვფხვრათ ყველა დაბრკოლება ახლის, პროგრესულის გზაზე.

საჭიროა ავამაღლოთ მეცნიერთა და სამეცნიერო დაწესებულებათა პასუხისმგებლობა ტექნოლოგიური პროცესების შემუშავებისათვის, კვლევის ბოლომდე მიყვანისათვის. სამეცნიერო დაწესებულებებს უნდა ჰქონდეთ კარგი საექსპერიმენტო ბაზა, უნდა გამოვყოთ ქარხნები, რომლებიც შექმნიან მანქანების კონსტრუქციებს მეცნიერთა წინადადებების მიხედვით, რათა მნიშვნელოვან წინადადებათა და აღმოჩენათა დანერგვა დამოკიდებული არ იყოს გეგმის განხილვის ვადებზე. შესაძლოა, რომ მოგვიხდება გავწიოთ ერთგვარი ტექნიკური რისკი და მატერიალური ხარჯები.

ერთხელ მე უკვე ვთქვი, ამხანაგებო, მაგრამ კიდევ გავიმეორებ. შარშან, როცა შჩეკინოში ვიყავი, იქ ჰოლანდიელები ამონტაჟებდნენ კარბამიდების წარმოების მოწყობილობას. ჩვენმა დირექტორმა მითხრა, ვიყიდეთ ყველა ტექნოლოგიური მოწყობილობა, საქარხნო ლაბორატორია კი არ გვიყიდიაო. გესმით, რას ნიშნავს ეს? თავისი საქარხნო ლაბორატორიის უქონლად არ შეიძლება თვალი ვადევნოთ პროცესს, პროდუქციის ხარისხსა და სიწმინდეს. ქიმიკოსებმა კარგად იციან, რომ მასალის სიწმინდეზე დამოკიდებულია მისი ხარისხი. ზოგიერთი ჩვენი ქიმიური მასალა სიწმინდით ჯერჯერობით უარესია, ვიდრე საზღვარგარეთული, ესე იგი შეიცავს მინარევებს, რაც აუარესებს ამ მასალების ხარისხს.

მეცნიერთა თათბირზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში მე მოვისმინე ამხ. კარგინის გამოსვლა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ როგორც მეცნიერებისათვის, ისე მრეწველობისათვის უაღრესად საჭიროა განსაკუთრებით წმინდა ქიმიური ნივთიერებანი.

ამხანაგებო! მე კვლავ ვეხები მეცნიერული პროგრესის როლსა და ადგილს ჩვენს მშენებლობაში, იმიტომ რომ მეცნიერებას, ტექნიკურ პროგრესს განსაკუთრებული როლი ენიჭება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობაში. მეცნიერება დღეს მკვიდრდება სახალხო მეურნეობის უკლებლივ ყველა დარგში და ამდიდრებს მათ. კომუნისტური პარტია ყოველთვის იჩენდა და კვლავაც გამოიჩენს განსაკუთრებულ ზრუნვას ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების განვითარებისათვის.

როგორ მოვაწყოთ საქმე ისე, რომ ყოველივე ახალი, პროგრესული, რასაც მეცნიერება გვაძლევს, არა მარტო შევამჩნიოთ დროულად, არა მარტო მივცეთ გზა დიდ მეცნიერულ აღმოჩენასა და გამოგონებას, არამედ, თუ გნებავთ, წინასწარ განვჭვრიტოთ მეცნიერების ამა თუ იმ ახალი მიმართულების მნიშვნელობა სახალხო მეურნეობისათვის საერთოდ, ესე იგი დროულად განვსაზღვროთ ახალი მიმართულების არა მარტო მეცნიერულ-ტექნიკური, არამედ პოლიტიკურ-ეკონომიური მნიშვნელობაც.

თქვენ იცით, რომ ჩვენი ქვეყნის მეცნიერების განვითარებისათვის პასუხს აგებენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია და რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიები, შესაბამისი დარგობრივი სახელმწიფო კომიტეტები, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტი. ამ დაწესებულებათა საქმიანობაში ბევრი რამ მნიშვნელოვანია, მაგრამ, როგორც ჩვენს ქვეყანაში ქიმიის განვითარების მაგალითმა გვიჩვენა, მეცნიერების საკითხებს ზოგჯერ არ ენიჭებათ დიდი პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.

ალბათ საჭიროა გვქონდეს ისეთი ორგანო, რომელიც დიდი სამეცნიერო-ეკონომიური პრობლემების გადაჭრაზე იმუშავებს. ამ ორგანოს შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ მეცნიერები, მეცნიერებათა აკადემიების, სახელმწიფო კომიტეტების ხელმძღვანელები, პარტიული და სამეურნეო მუშაკები. ასეთმა ორგანომ უნდა გვაძლიოს მეცნიერული განვითარების ანალიზი ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, თვალყური ადევნოს მეცნიერული ცოდნის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი დარგების ტენდენციებსა და მიმართულებას, გვაძლიოს მეცნიერულ მიმართულებათა შესაბამისი არგუმენტირებული მიმოხილვები.

რა თქმა უნდა, საჭიროა ჯეროვნად ავწონ-დავწონოთ და გავიაზროთ ასეთი ორგანოს ფუნქციები და ადგილი. ვიმეორებ, კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე პარტიამ მეცნიერულ პროგრესს უნდა დაუთმოს მაქსიმუმი ყურადღება, ჩვენი საზოგადოების მშენებლობისათვის გამოიყენოს ყველაფერი, რასაც მეცნიერება გვაძლევს დღეს, გამჭრიახად ხედავდეს ახალ მიმართულებებს მეცნიერებაში და დროულად აყენებდეს ამ ახალ მიმართულებებს ჩვენი დიადი საქმის სამსახურში.

ჩვენი ეკონომიკა, ჩვენი სამეურნეო საქმიანობა, ჩვენი აზრი მუდმივად უნდა მოძრაობდეს. ძველი უნდა კვდებოდეს და ადგილს უთმობდეს ახალს, ხოლო ახლისათვის უნდა უზრუნველვყოფდეთ შემდგომ განვითარებას. აი ეს არის პროგრესი, წინსვლა როგორც მთელ საზოგადოებაში, ისე მეურნეობის სხვადასხვა დარგში, მეცნიერებასა და ტექნიკაში.

ამხანაგებო! დასასრულ მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა იმ ღონისძიებების გამო, რომლებსაც ჩვენ ვახორციელებთ თავდაცვის ხარჯების შემცირებისათვის. იმპერიალიზმის იდეოლოგები ბევრს ხმაურობენ, რომ საბჭოთა კავშირი თითქოს იძულებულია შეამციროს შეიარაღება და შეიარაღებული ძალები, რადგან ეკონომიკის განვითარებაში სიძნელენი აქვსო. ცდილობენ აგრეთვე დაასაბუთონ თეორია იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა კავშირს არ ძალუძს ერთდროულად განავითაროს ეკონომიკა და განამტკიცოს თავდაცვა და წარმატებით ვერ შეეჭიდება კაპიტალიზმს.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მონაჩმახია. ეს მოწმობს იმას, რომ სოციალიზმის მოწინააღმდეგენი ძალიან შეშფოთებული არიან საბჭოთა კავშირის, სოციალიზმის ქვეყნების სწრაფი განვითარებით და იმით, რომ სოციალისტურმა ქვეყნებმა შექმნეს ახლა შეიარაღებული ძალები, რომლებიც, როგორც ამას აღიარებენ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მოღვაწენი, უტოლდებიან კაპიტალისტური სამყაროს ძალებს. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ჩვენი შეიარაღებული ძალები უფრო მძლავრია. ჩვენს მხარეზე არიან მთელი ძალები, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის, პროგრესისათვის.

საბჭოთა კავშირმა სამხედრო ხარჯები რამდენადმე შეამცირა არა იმიტომ, რომ ჩვენ არა გვაქვს შესაძლებლობა გამოვყოთ საჭირო სახსრები, არამედ იმიტომ, რომ ეს მიზანშეწონილად მიგვაჩნია და ეს გავლენას არ მოახდენს ჩვენი შეიარაღებული ძალების ძლიერებაზე. ცნობილია, რომ შეიარაღებისა და არმიის შენახვის ხარჯებს მოგება არ მოაქვს, ეს საზოგადოების პირდაპირი ხარჯებია.

მაგრამ ეს საჭირო ხარჯებია, და ჩვენ იძულებული ვართ გავწიოთ ეს ხარჯები, რამდენადაც იმპერიალისტებს არა სურთ მიიღონ ჩვენი წინადადებანი და არ უნდათ შეთანხმება განიარაღების შესახებ. ამიტომ საჭიროა გვყავდეს შეიარაღებული ძალები და გვქონდეს უახლესი იარაღი, რათა მტრებმა იცოდნენ, რომ თუ ისინი ეცდებიან გააჩაღონ ომი, განადგურებულ იქნებიან. ჩვენ გვაქვს ასეთი იარაღი და მუდმივად ვსრულყოფთ მას.

საბჭოთა კავშირი რამდენადმე ამცირებს სამხედრო ხარჯებსა და შეიარაღებული ძალების რაოდენობას არა ეკონომიური სიძნელეების გამო, არამედ ხელმძღვანელობს საღი აზრის მოსაზრებებით, ხელმძღვანელობს გულწრფელი მისწრაფებით ხალხთა შორის მშვიდობისადმი.

მაგრამ გვესმის, რომ ეკონომიაც ამაში გონივრულად უნდა გავწიოთ. რაც შეეხება შეიარაღებისა და არმიისათვის ასიგნებათა ოდენობას ახლანდელ პირობებში, როცა იმპერიალისტურმა ქვეყნებმა შექმნეს მძლავრი შეიარაღებული ძალები, რომლებიც აღჭურვილი არიან ატომური იარაღით, არ შეიძლება შევამციროთ ეს ძალები იმდენად, რომ იმპერიალისტებს ჰყავდეთ ჩვენზე მეტი შეიარაღებული ძალა და ამით თავს გვახვევდნენ თავიანთ ნება-სურვილს, თავიანთ პოლიტიკას.

გამორიცხული არ არის, რომ აღმოჩნდებიან გიჟები, რომლებიც გააჩაღებენ თერმოატომურ ომს. ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს. თუ ჯეროვნად ვერ შევაფასებთ არმიის, პირველხარისხოვანი შეიარაღების მნიშვნელობას, ეს შეიძლება ძვირად დაგვიჯდეს. ამიტომ საჭიროა მომჭირნეობით, ყაირათიანად ვხარჯოთ სახალხო სახსრები, მაგრამ ეკონომიას არ ვეწეოდეთ იქ, სადაც შეიძლება ზიანი მოუვიდეს თავდაცვას, ზიანი მოუვიდეს ჩვენს საქმეს.

რა თქმა უნდა, ყველას სურს ჰქონდეს რაც ყველაზე მეტად საჭიროა თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. ეს გასაგები და კანონიერი მისწრაფებაა.

თუ გავიხსენებთ, როგორ ცხოვრობდნენ ხალხები მეფის რუსეთში, როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, როგორ ცხოვრობდნენ ომამდე და როგორ ვცხოვრობთ ახლა, განსხვავება კოლოსალურია. ავიღოთ, მაგალითად, საცხოვრებელი ბინები. ჯერ კიდევ 1950 წელს ქალაქებსა და მუშათა დაბებში შენდებოდა 24 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, 1963 წელს კი აშენდა 77 მილიონი. მაგრამ ახლაც გაისმის ხმები — ცოტააო. და ეს სწორი ხმებია, იქნება მეტი, მაგრამ ეს არ შეიძლება ერთბაშად და ეს არ შეიძლება ჩვენი თავდაცვის საზიანოდ.

ჩვენ რომ გონივრულად არ შევამციროთ სამხედრო ხარჯები, ვაშენოთ მეტი საცხოვრებელი ბინები და დავივიწყოთ თავდაცვა, მაშინ დავემსგავსებით ბრმებს, რომლებიც სწორად ვერ აფასებენ რეალურ ვითარებას. ჩვენ კი, როგორც ცნობილია, ვცხოვრობთ ისეთ ვითარებაში, როცა მსოფლიო გაყოფილია ორ სისტემად — სოციალისტურ სისტემად და კაპიტალისტურ სისტემად, სადაც საქმეთა მესვეურები არიან იმპერიალისტები, რომლებიც თავს ახვევენ ყველას გამალებულ შეიარაღებას და თვითონაც ამ მიზნებისათვის ხარჯავენ უზარმაზარ სახსრებს.

ამიტომ საბჭოთა სახელმწიფო იძულებულია, ხატოვნად რომ ვთქვათ ხარკი გადაუხადოს დროებას და დახარჯოს გარკვეული სახსრები შეიარაღებისათვის, არმიის შენახვისათვის, რათა არმიას ჰქონდეს ყველაზე თანამედროვე იარაღი და შეესაბამებოდეს თავდაცვის მოთხოვნებს.

თუ შევანელებთ ყურადღებას ჩვენი ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისადმი, იმპერიალისტებს შეუძლიათ დაგვიწყონ ლაპარაკი მუქარისა და ულტიმატუმების ენით.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მშვიდობისათვის, კომუნიზმის მშენებლობისათვის ბრძოლის შედეგი დამოკიდებულია ჩვენს წარმატებებზე, ჩვენი ეკონომიკის მდგომარეობაზე.

სოციალიზმის მტრები ცდილობენ გამოიყენონ ყოველი შესაძლებლობა იმისათვის, რომ შეასუსტონ ჩვენი ეკონომიკა და ამით ძირი გამოუთხარონ ჩვენი სახელმწიფოს ძლიერებას.

საბჭოთა ადამიანები ყოველ ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ ჩვენი ეკონომიკა კვლავ იფურჩქნებოდეს, რათა უზრუნველყოფილი იყოს ყველა მისი დარგის წარმატებითი განვითარება.

* * *

ამხანაგებო! ახლანდელი პლენუმი, რომელმაც ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შემდეგ განიხილა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მშენებლობის ძირეული საკითხები, დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იქნება პარტიის პროგრამის შესრულებაში, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

ახლა ყველა საბჭოთა ადამიანი, ჩვენი მეგობრები და კლასობრივი ძმები მთელ მსოფლიოში ხედავენ, თუ რა უდიდესი შრომაა აშენო კომუნისტური საზოგადოება, შექმნა ახალი საზოგადოების მატერიალური საფუძველი, სადაც ადამიანის ყველა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი მთლიანად იქნება დაკმაყოფილებული.

საბჭოთა ხალხი ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით პირველი აშენებს ასეთ საზოგადოებას და ეს, რა თქმა უნდა, ცოტა სიძნელის დაძლევასთან როდია დაკავშირებული. ეს კომუნისტთა პარტიისაგან მოითხოვს დიდ პოლიტიკურ გამჭრიახობას, სიმტკიცეს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების პრინციპების განხორციელებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თეორიაშიც და პრაქტიკაშიც ხელმძღვანელობს მარქსის, ენგელსის, ლენინის მოძღვრებითა და ანდერძით. ჩვენმა უკვდავმა მასწავლებლებმა, რომლებმაც სოციალისტური რევოლუციის თეორიით შეაიარაღეს საერთაშორისო პროლეტარიატი, განსაზღვრეს დიადი მიზნის — კომუნიზმის აშენების გზა. სავსებით ბუნებრივია ამასთანავე, რომ იმ დროს ისინი კონკრეტულად ვერ იწინასწარმეტყველებდნენ ყველაფერს, რაც კომუნიზმის მომავალ მშენებლებს უნდა გაეკეთებინათ.

ამიტომ არის, რომ ჩვენი პარტიისა და ხალხის წინაშე, რომლებმაც პირველმა მოახდინეს სოციალისტური რევოლუცია, ახლა კი ბევრი სხვა ქვეყნის მოძმე მარქსისტულ-ლენინური პარტიებისა და ხალხების წინაშე, რომლებიც სოციალიზმის გზას დაადგნენ, იბადება ბევრი ახალი საკითხი, რომლებსაც აყენებს ცხოვრება, სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის ბრძოლის მსვლელობა.

კომუნისტური მშენებლობის გეგმების განხორციელება ჩვენს პარტიას მიაჩნია არა მარტო საშინაო, არამედ ინტერნაციონალურ ამოცანადაც.

ქმნიან რა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას საბჭოთა კავშირში და თანამშრომლობენ რა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან, ჩვენი პარტია, საბჭოთა ხალხი განამტკიცებენ მსოფლიო სოციალისტურ სისტემას, განამტკიცებენ მსოფლიო კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის [illegible] ჩვენი პარტია, საბჭოთა ხალხი ასრულებენ თავიანთ ინტერნაციონალურ მოვალეობას.

არ შეიძლება უარვყოთ, რომ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ეკონომიურ მშენებლობას სოციალისტურ ქვეყნებში, და დავუპირისპიროთ იგი კლასობრივ ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ასე მოქცევა ნიშნავს სხვადასხვა ცნების აღრევას. ერთია, როცა საქმე ეხება ქვეყნებს, სადაც მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობა მონოპოლისტური კაპიტალის ბატონობას განიცდიან და ეწევიან ბრძოლას თავიანთი განთავისუფლებისათვის, პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისათვის. ხალხები, რომლებიც იბრძვიან თავიანთი დამოუკიდებლობისათვის, იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის ბატონობის წინააღმდეგ, პირველ პლანზე აყენებენ პოლიტიკური ბრძოლის საკითხს. იქ, სადაც ხალხები უკვე განთავისუფლდნენ კოლონიური ჩაგვრისაგან, პოლიტიკური ბრძოლის საკითხებს გარდუვალად ემატება ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ამოცანები, ამოცანები იმ ცდების წინააღმდეგ ბრძოლისა, რომლებსაც მიმართავენ ნეოკოლონიზატორები იმპერიალისტთა ეკონომიური ბატონობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

იმ ქვეყნებისათვის, რომელთა ხალხებმა ძალაუფლება მოიპოვეს, სოციალიზმსა და კომუნიზმს აშენებენ, მთავარი პოლიტიკა, როგორც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ამბობდა, ეკონომიური პოლიტიკაა, რომელიც საქმით ამტკიცებს, რომ სოციალისტური, კომუნისტური ეკონომიკა იმარჯვებს ხალხთა მასების შემოქმედების, მათი ცხოვრების გაუმჯობესების სარბიელზე, იმარჯვებს კაპიტალისტურ ეკონომიკაზე საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებაში. **ამით გამოიხატება ბოლოს და ბოლოს მთავარი დავა ახალ სამყაროსა და ძველ სამყაროს შორის, შეჯიბრება, რომლის შედეგადაც სოციალიზმის გზა იქცევა მთელი კაცობრიობისათვის.**

იმპერიალიზმს ბუნებრივია არა სურს ისტორიულ ასპარეზზე თავისი ადგილი დაუთმოს წინააღმდეგობის გაუწევლად, უბრძოლველად. იმპერიალისტები ამ ბრძოლას აწარმოებენ სხვადასხვა მეთოდით. მონოპოლისტური კაპიტალის ყველაზე აგრესიული ძალები აღვივებენ ომის ფსიქოზს, აძლიერებენ გამალებულ შეიარაღებას, რაც მსოფლიო თერმოატომური ომის საფრთხეს ქმნის. ისინი ომებს აწარმოებენ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხთა წინააღმდეგ, ნერგავენ მარიონეტულ რეაქციულ რეჟიმებს; ცდილობენ ცეცხლითა და მახვილით ჩაახშონ რევოლუციური მოძრაობა. ამერიკის იმპერიალიზმის პოლიტიკა ხალხთა ჟანდარმული ჩახშობის, ყოველივე ახლის, რევოლუციურის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკაა. იმპერიალიზმის ეს რეაქციული პოლიტიკა გარდუვალად ჩაიფუშება.

საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობას, ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას მხურვალედ უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირი და სოციალიზმის სხვა ქვეყნები.

ამხანაგებო! **ჩვენი ლენინური პარტია იბრძვის მსოფლიო სოციალისტური სისტემის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის, ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების მონოლითური ერთიანობისათვის.** კომუნისტური და მუშათა პარტიების დეკლარაციისა და განცხადების მარქსისტულ-ლენინური პრინციპების ერთგული ჩვენი პარტია იბრძოდა და იბრძვის ამ ერთიანობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

**თავიანთ ინტერნაციონალურ მოვალეობად ჩვენს პარტიასა და ჩვენს ხალხს მიაჩნიათ ისიც, რომ დაიცვან ქვეყნად მშვიდობის საქმე.** კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას რომ ვქმნით, ჩვენ უზრუნველყოფთ ამასთანავე ჩვენი სამშობლოს თავდაცვით ძლიერებას, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის საიმედო ფარს.

ჩვენი პარტია ემყარება ლენინის იმ მითითებებს, რომ პირობებში, როცა არსებობს ორი დაპირისპირებული სისტემა — სოციალისტური და კაპიტალისტური, — მშვიდობის უზრუნველყოფის ერთადერთი რეალური გზაა სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა. ჩვენ ამ ლენინური პოლიტიკის ერთგულნი ვართ. მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი შეესაბამება სოციალისტური ქვეყნების ხალხთა მისწრაფებებს, მთელი კაცობრიობის ინტერესებს.

სანამ იმპერიალისტებს არა სურთ დაიდონ შეთანხმება განიარაღების შესახებ, ჩვენ მუდამ უნდა ვიზრუნოთ საბჭოთა კავშირის თავდაცვის განმტკიცებისათვის ვიზრუნოთ იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების შეიარაღებულ ძალებს შეეძლოთ აღკვეთონ იმპერიალისტთა აგრესია სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, აღკვეთონ ახალი მსოფლიო ომის გაჩაღება. მეორე მხრივ, არ უნდა შევანელოთ მეცადინეობა განიარაღებისათვის ბრძოლაში.

კომუნისტებს კარგად უნდა ესმოდეთ ძალთა რეალური თანაფარდობა მსოფლიო ასპარეზზე და მტკიცედ უნდა იბრძოდნენ იმპერიალიზმის აგრესიული ძალების წინააღმდეგ, მსოფლიო თერმოატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ, ქვეყნად მტკიცე მშვიდობისათვის.

**მთელ თავის საქმიანობაში ჩვენი პარტია კვლავაც ერთგული იქნება თავისი დამაარსებლის, ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მოძღვრების და ანდერძისა!**

ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დეკემბრის პლენუმზე შეიმუშავა ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების პროგრამა. ახლანდელი პლენუმი დიდ ღონისძიებებს სახავს იმისათვის, რომ კიდევ უფრო განვავითაროთ სოფლის მეურნეობა, ავიყვანოთ იგი უფრო მაღალ საფეხურზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის საშუალებით, ამასთან დავეყრდნოთ ქიმიზაციას, ელექტროფიკაციასა და კომპლექსურ მექანიზაციას.

დარწმუნებული ვართ, რომ პარტიის ყველა წევრი, ყველა კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციები, მთელი ჩვენი ხალხი ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმების გადაწყვეტილებებს მიიჩნევენ საბრძოლო პროგრამად კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა ადამიანებს ესმით, რომ ქიმიის დაჩქარებული განვითარება და სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია მოგვიქმნის შესაძლებლობებს, რათა წარმატებით გადავწყვიტოთ კომუნისტური მშენებლობის ამოცანები, განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება, უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ ხალხის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი.

ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, ყველა საბჭოთა ადამიანს დარაზმონ ძალები პარტიის ამ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

კომუნისტური პარტია დარწმუნებულია, რომ საბჭოთა ხალხს კარგად აქვს შეგნებული, თუ რა დიდი ისტორიული ამოცანა დგას ჩვენი ქვეყნის წინაშე, და იგი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ კომუნისტური მშენებლობის პროგრამა განხორციელდეს!

**(ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს. მისი გამოსვლის დროს ხშირად გაისმოდა მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

რედაქტორის მოადგილე გ. ვარდოსანიძე.

კომუნისტი КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 8-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, ხამდივნოს — 8-46-10, განყოფილებებისა: პარტიული 9-87-61, მრეწველობის — 8-20-43, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის ცუცხოეთის — 8-22-89, სოფლის მეურნეობის — 8-82-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების 8-35-01, ინფორმაციის — 8-16-90, წერილების — 9-78-24, განცხადებების — 9-94-42

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

უე 01068

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.